ახალი განათლება

2 - 8 ივნისი

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№21 (735) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

1 ივნისი

სადაც არ უნდა წავიდე, საბოლოოდ, ყოველთვის უკან – საქართველოში დავბრუნდები

რუბრიკის „ქართველი სტუდენტები უცხოეთში“ სტუმარია თათია ვაშაძე, FLEX-ის პროგრამის გამარჯვებული, ტეხასის შტატის ქალაქ ბურლესონის ჯოშუას სკოლის მოსწავლე

გვერდი 4

გამოფენა-კონფერენცია

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი

გვერდი 2

მასწავლებელთა კონფერენცია

მედიაწიგნიერება – დამატებითი რესურსი ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და სინამდვილის შესაფასებლად

გვერდი 2

პედაგოგთა დასახმარებლად

დისკრიმინაცია

სამოქალაქო განათლება

გვერდი 7

სპორტი

სასკოლო ოლიმპიადა ფინიშს უახლოვდება

გვერდი 10

ინფორმაცია

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი

მაკა ყიფშიანი

28 მაისს, ექსპო ჯორჯიაში, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა წლიური ფორუმის გამოფენა-კონფერენცია გაიხსნა. ფორუმის მონაწილეები, საქართველოს ყველა რეგიონის 400 პედაგოგი, სამოქალაქო განათლების სფეროს სიახლეებს გაეცნო და პედაგოგთა ხელშეწყობით განხორციელებული პროექტების ამსახველი ფოტოგამოფენა დაათვალიერა.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური**, სამოქალაქო განათლების პროგრამის დირექტორი **მარინა უშვერიძე**, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი **ნინო ბუაჩიძე** და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი **გიორგი მაჩაბელი**.

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ ინფორმაცია მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის და მათთვის საინტერესო სხვა რესურსების შესახებ.

კონფერენციის დასასრულს გაიმართა სამოქალაქო განათლების წლის საუკეთესო პედაგოგთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი, მათ გადაეცათ ფორუმის მიერ დაწესებული საპატიო ჯილდო – მადლობის სიგელი და „სამოქალაქო განათლების წლის საუკეთესო პედაგოგის“ პრიზი.

კონფერენცია-გამოფენა ორგანიზებული იყო სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში. პროგრამას ახორციელებს ორგანიზაცია PH International კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრთან, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმთან და რეგიონულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორობით. პროგრამის ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), მხარდამჭერი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

მარინა უშვერიძე, სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ დირექტორი: *„სამოქალაქო განათლების პირველი კონფერენცია-გამოფენა 2012 წელს ჩატარდა, დღეს რიგით მეხუთე წლიური კონფერენციაა. მონაწილეთა რიცხვი წლიდან წლამდე საგრძნობლად გაზრდილია. წელს, ღონისძიებაში 400-მდე პედაგოგი მონაწილეობს. კონფერენცია მნიშვნელოვანი, საინტერესო და მამოტივირებელია პედაგოგებისთვის. გამოფენაზე წარმოდგენილია მრავალფეროვანი პროექტები, რომლებიც მოსწავლეებმა სამოქალაქო განათლების პედაგოგების ხელშეწყობით განახორციელეს სკოლის და საზოგადოების საკეთილდღეოდ. ყველა პროექტს კონკრეტული შედეგი აქვს. აღსანიშნავია, რომ პროგრამა საქართველოს ყველა რეგიონში 480 სკოლასთან მუშაობს, რათა გაუმჯობესდეს სკოლებში სამოქალაქო განათლების სასწავლო პროგრამა და მოხდეს მოსწავლეების მიერ, სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება; ახალგაზრდებში სამოქალაქო განათლების გაძლიერების გზით ხელი შეეწყოს სამოქალაქო საზოგადოების როლის ზრდას გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობისათვის. მთელი წლის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგები, სადისკუსიო შეხვედრები, მოეწყო მრგვალი მაგიდები სამოქალაქო განათლების პედაგოგებისთვის აქტიური საკითხების შესახებ, გაიმართა მოსწავლეთა შეხვედრები კომპეტენტურ ადამიანებთან, 80-მდე მოსწავლე მონაწილეობდა საზაფხულო ბანაკებში და სხვ. წინ კიდევ ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი ეტაპი გვაქვს გასავლელი. დღევანდელ დღეს, სხვადასხვა ნომინაციაში, 34 პედაგოგი დაჯილდოვდება. ვულოცავ მათ ღირსეულ წარმატებას“.*

ლია გიგაური, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: *„სასიხარულოა, რომ ტრადიციად დამკვიდრდა და უკვე მეხუთე წელია, ვხვდებით სამოქალაქო განათლების პედაგოგებს, რომლებიც ემსახურებიან ჩვენი მომავალი თაობების, მომავალი საზოგადოების ღირებულებების, დემოკრატიის ხარისხის, ფასეულობების ფორმირებას. ეს ძალზე მნიშვნელოვანი მისიაა – მომავალ თაობას ვასწავლით დემოკრატიას, ვასწავლით საკუთარ უფლებებსა და პასუხისმგებლობას. აღსანიშნავია, რომ სწავლება გადავიდა უფრო მაღალ სტადიაში, რადგან გახდა პრაქტიკაზე, პროექტებსა და აქტივობებზე ორიენტირებული. პროექტები, რომლებიც პროგრამის ფარგლებში ხორციელდება, სოციალურ აქტივობაზეა ორიენტირებული, რაც საზოგადოების სოციუმის განვითარებას ემსახურება. ჩვენ ვხედავთ, წლიდან წლამდე, როგორ ვითარდება მეთოდების გამოყენება საკლასო ოთახებში და იხვეწება სასწავლო სტრატეგიები, რამდენად აქტიური ხდებიან მოსწავლეები და თავად მასწავლებლები. სამოქალაქო განათლება მხოლოდ საგანი არ არის, ეს ცნობიერების ფორმირებაა, მოქალაქეების გააქტიურება, მომავალი საზოგადოების ღირებულებების ფორმირება სწორედ იმ მიმართულებით, რომელიც ყველა ჩვენგანს ხვალ კიდევ უფრო მეტად დაგვაფიქრებს. ჩვენ ვზრდით ახალ საზოგადოებას. სამოქალაქო განათლებით იწყება მომავალი დემოკრატების სამყარო საქართველოში. ვულოცავ დღევანდელ დღეს ყველა პედაგოგს და წარმატებებს ვუსურვებ მათ“.*

გიორგი მაჩაბელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი: *„ჩემთვის დიდი პატივია სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმში მონაწილეობა. წლევანდელი სასწავლო წელი, საკმაოდ საინტერესოდ მიმდინარეობდა. მოგეხსენებათ, დავიწყეთ ახალი სქემა – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის. ეს პერიოდი ყველამ საკმაოდ წარმატებით გავიარეთ. პირველი აპრობაციის წელი მთავრდება, ყურადღებით ვაკვირდებოდით თითოეულ პროცესს, რომელიც წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. სიამაყით მინდა ვთქვა, რომ სამოქალაქო განათლების პედაგოგები ერთ-ერთი მოწინავენი იყვნენ ამ პროცესებში. ვულოცავ მათ მიღწეულ წარმატებებს. სამოქალაქო განათლების განვითარება რამდენად მნიშვნელოვანია, ეს ყველამ კარგად დავინახეთ. მით უმეტეს მაშინ, როცა საქართველო გადამწყვეტ ფაზაში შედის ევროინტეგრაციის კუთხით და ჩვენი მისწრაფება ევროპულ საგანმანათლებო სივრცეში ამ კუთხითაც იქნება დაფასებული, რაც ძალზე მნიშვნელოვანია“.*

ნინო ნიპარიშვილი, კასპის სკოლა-გიმნაზიის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი: *„სამოქალაქო განათლებას სკოლაში ორი წელია ვასწავლი, მას შემდეგ, რაც ჩვენი სკოლა ჩაერთო პროგრამაში „მომავლის თაობა“. დღევანდელ გამოფენაზე წარმოდგენილ ბანერზე ასახულია ჩვენი სკოლის აქტივობები. პროგრამის ფარგლებში მოვიპოვეთ მცირე გრანტი პროექტის „წარსულის კვალდაკვალ“ განსახორციელებლად. პროექტი ეხებოდა საბჭოთა კასპელ რეპრესირებულებს და მისი მიზანი იყო ახალგაზრდების ინფორმირება საბჭოთა კავშირის დროს მომხდარი რეპრესიების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ჩვენი სკოლა ყოფილი საბჭოთა მილიციის შენობაშია განთავსებული და იმ ადგილას, ნულ სართულზე, სადაც საკნები იყო, კასპელ რეპრესირებულთა მუზეუმი გავხსენით. პროექტს ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა“.*

ინგა აბდუშელიშვილი, თბილისის 150-ე საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სამოქალაქო კლუბის „მომავლის ელჩები“ ხელმძღვანელი: *„პროგრამის ფარგლებში გავიმარჯვეთ მცირეგრანტიან პროექტში, მოვიპოვეთ დაფინანსება, რომლითაც გადავწყვიტეთ, სკოლის ტერიტორიაზე არსებული აუთვისებელი სივრცე რეკრეაციულ ზონად გადაგვექცია – დავასუფთავეთ, გავამწვანეთ და სათანადოდ მოვაწყვეთ. სკვერის კეთილმოწყობაში დახმარება გაგვიწია სკოლის დირექციამ, მშობლებმა. მოსწავლეებს და მასწავლებლებს საშუალება აქვთ, ეს ადგილი გამოიყენონ სხვადასხვა ღონისძიებებისა და ღია გაკვეთილების ჩასატარებლად“.*

მედიაწიგნიერება – დამატებითი რესურსი ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და სინამდვილის შესაფასებლად

ანა ფირცხალაიშვილი

27 მაისს, თბილისის იტალიურ სკოლაში „ცისკარი“, დაწყებითი კლასების მასწავლებელთა კონფერენცია გაიმართა, რომლის თემა იყო მედიაწიგნიერება. გაკვეთილები, რომლებიც პედაგოგებმა სხვადასხვა სკოლებიდან მოწვეულ კოლეგებს წარუდგინეს, სამოქალაქო განათლების ინსტიტუტისა და განათლების სამინისტროს თანამშრომლობით შექმნილი პროექტის ფარგლებში ჩატარდა. იტალიური სკოლის გარდა მასში თბილისის №191 და ქუთაისის №14 საჯარო სკოლები გაერთიანდა.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მედიაწიგნიერება ერთ-ერთი გამჭოლი პრიორიტეტული კომპეტენციაა. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი საგნის მასწავლებელმა სასწავლო პროცესში უნდა მოახდინოს ამ კომპეტენციის ინტეგრირება. პედაგოგებმა, დეტალური აღწერით, თვალსაჩინოდ გვიჩვენეს, როგორ ჩაატარეს ესა თუ ის კონკრეტული გაკვეთილი და რა შედეგი მიიღეს. თითქმის ყველა გაკვეთილი ინტეგრირებული იყო მომიჯნავე საგანთან, რაც კიდევ უფრო მეტ მოტივაციას იწვევდა მოსწავლეებში და სახალისოს და საინტერესოს ხდიდა გაკვეთილს.

იტალიური სკოლის მასწავლებელთა პროფესიული ლაბორატორიის ხელმძღვანელი **მანანა ბოჭორიშვილი**, მედიაწიგნიერების მნიშვნელობაზე საუბრისას, ხაზგასმით ამბობს, რომ *„მედიაწიგნიერება შეიძლება განვიხილოთ, როგორც პასუხი ციფრული საუკუნის გამოწვევებზე. რა უნდა გააკეთოს მოქმედმა მასწავლებელმა იმისათვის, რომ საგნობრივი პროგრამის შესაბამისი თემების სწავლებისას აქცენტი გააკეთოს XXI საუკუნის ამ მნიშვნელოვანი უნარის განვითარებაზე. ამ საკითხზე საქმიანი დისკუსიები რამდენიმე წელია მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში, სკოლაში მიზნობრივი ტრენინგები და კონსულტაციები გაიმართა. მასწავლებლებმა შექმნეს მედიაწიგნიერების უნარების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილის სცენარები, რომელთა მიხედვითაც ჩაატარეს გაკვეთილები და კათედრებზე განიხილეს თითოეული მათგანი. პროექტში სკოლის დაწყებითი კლასის კათედრის ყველა პედაგოგი მონაწილეობდა, ექვსივე მასწავლებელმა შექმნა მეთოდური რესურსი და ჩაატარა გაკვეთილი. სწორედ ისინი წარდგნენ დღევანდელ კონფერენციაზე კოლეგების წინაშე“.*

კონფერენციას დაესწრო სამოქალაქო განათლების ინსტიტუტის განათლების პროექტების ხელმძღვანელი **თამარ მოსიაშვილი**. *„პირველ რიგში, მინდა მადლიერება გამოვხატო „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მიმართ, რომელმაც დააფინანსა ეს პროექტი. ჩვენ 3-4 წელია ამ საკითხზე ვმუშაობთ, მაგრამ ეს იყო ეტაპი სკოლებთან პრაქტიკული თანამშრომლობის, როცა შესაძლებელი გახდა მედიაწიგნიერების განმავითარებელი პროცესების ინიცირება. ქართველმა მასწავლებლებმა თავად შექმნეს არაჩვეულებრივი რესურსები – მეთოდური მასალები, თემატური გაკვეთილის გეგმები, ადაპტირებული ტექსტები, რომელთა გამოყენებამ გაკვეთილი შემოქმედებით პროცესად აქცია. ამიტომაც, ჩვენი ინტერესია, რაც შეიძლება მეტი სკოლა ჩაერთოს პროცესში და ამას სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი – სულ დონორების იმედად ხომ არ*

ინფორმაცია

ვიქნებით! ჩვენ ინფორმაციის მოზღვავების ეპოქაში ვცხოვრობთ და შეუძლებელია მასწავლებლის რესურსი მხოლოდ სახელმძღვანელო იყოს. ქართველმა პედაგოგებმა, პროექტის ფარგლებში, 40-ზე მეტი სასწავლო რესურსი შექმნეს, რომელიც მოწონებულია სფეროს სპეციალისტების მიერ და ატვირთულია ჩვენს ვებპორტალზე – http://medialiteracy.ge/ge/resources. თუ მათ მიერ შექმნილი მეთოდური მასალა, თუნდაც,100 მასწავლებელს გამოადგება, ძალიან კარგია, მაგრამ ილუზია იქნება იმის დაშვება, რომ გამოადგება ყველას – 65000 პედაგოგს. შეუძლებელია ყველას ერთი და იგივე მეთოდი მოსწონდეს, მთავარი მათი მრავალფეროვნებაა. ერთი და იმავე მასალის მომზადება მრავალგვარად შეიძლება. პროექტის ხიბლიც ამაშია, ეს მრავალფეროვნება სახელმწიფომ უნდა წაახალისოს.

მედიაწიგნიერება სწორედ მრავალფეროვნების გზით გულისხმობს იმის შევსებას, რაც სახელმძღვანელოშია მოცემული. ხაზგასმით ვამბობ, კი არ ანაცვლებს, პირიქით, ავსებს და ამდიდრებს. ამიტომ მიმაჩნია მიუღებლად მასწავლებლისთვის აღწერის შეთავაზება, რას ნიშნავს მეთოდური მასალა.

მუშაობას, რა თქმა უნდა, გავაგრძელებთ, რომ მოვიცვათ ყველა კლასი – პირველიდან XII-ეს ჩათვლით და ყველა საგნობრივი ჯგუფი, თუმცა, დაწყებით კლასებს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ, რადგან აქ ეყრება საფუძველი ძალიან ბევრ უნარს, რომ მოსწავლე წარმატებული იყოს მომდევნო საფეხურზე. ბევრ გაკვეთილს დავესწარი და დავრწმუნდი, ამ მიმართულებით სვლა აუცილებლად გახდება ჩვენი მოსწავლეების წარმატების საწინდარი“.

კონფერენციაში მონაწილე დაწყებითი კლასების პედაგოგებმა: **დალი ტომარაძემ**, **ნანა ვაჩიბერიძემ**, **დალი ქოქოშვილმა**, **მაია ალავიძემ**, **ეკა მესხმა**, **ინგა თეთრაძემ** თავიანთ პრეზენტაციებში კოლეგებს უამბეს როგორ დაგეგმეს და ჩაატარეს მედიაწიგნიერების პრაქტიკული გაკვეთილები. ქალბატონი დალისთვის, როგორც თავად აღნიშნა, გაკვეთილის „ნიადაგის ბინადარნი“ წარდგენისას, მთავარი და მნიშვნელოვანი იყო, მოსწავლეებს გაკვეთილზევე შეესწავლათ ახალი მასალა. ეს იყო ქართულისა და ბუნების ურთიერთობაზე ორიენტირებული გაკვეთილი, ზუსტად გაწერილი გეგმით – ნარატიული ტექსტი, რომელიც შედგენილია დების მიწერ-მოწერით, რასაც მოსდევს ტექსტის გასააზრებელი კითხვები სავარაუდო პასუხებით, შემდეგ დოკუმენტური ფილმი თხუნელაზე, რომლის ნახვის შემდეგაც, გამზადებულ ჩარჩოში მოსწავლეების ჩანაწერებით, ჩანს რა ტიპის ცოდნის სტრუქტურა მიიღეს გაკვეთილისგან. ბოლოს კლასს ეძლევა საშინაო დავალება და ივსება შეფასების რუბრიკა, რასაკვირველია, პედაგოგი მიუთითებს შენიშვნების შესახებაც.

პედაგოგები აღნიშნავენ, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საგაკვეთილო თემის არჩევას: *„ყველა პედაგოგმა იცის რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლება. მედიაწიგნიერება ამის საუკეთესო საშუალებაა. როცა თემად „სირაქლემა“ ავირჩიე, გათვლა იმაზე გავაკეთე, რომ სირაქლემა ყველაზე დიდი ფრინველია, ეს მისი განსაკუთრებული ნიშანია და ვიცოდი, ბავშვებშიც განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავდა. გაკვეთილის მსვლელობამ და შედეგმა დამარწმუნა, რომ არ შევმცდარვარ“ – გვითხრა ნანა ვაჩიბერიძემ.*

არც მაია ალავიძეს შეურჩევია შემთხვევით მედიაგაკვეთილის თემად ყველაზე პატარა ფრინველი – კოლიბრი.

თვალსაჩინოებისთვის სწორედ ამ გაკვეთილს ვთავაზობთ მკითხველს.

მაია ალავიძე
ვ. ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა „ცისკარი“

კოლიბრი

გაკვეთილის სათაური –კოლიბრი
კლასი – მესამე
საგანი – ქართული და ბუნება
სასწავლო მიზანი – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

✔ ტექსტზე მუშაობა – წაიკითხოს ტექსტი;
✔ ტექსტში მოცემული ინფორმაცია დაუკავშიროს ერთმანეთს;
✔ ჩამოაყალიბოს, რა კითხვებზე პასუხი ვერ იპოვა ტექსტში და ამ შეკითხვებზე პასუხები იპოვოს დოკუმენტურ ფილმში;
✔ შეაჯამოს, რაც ისწავლა;
✔ კოლიბრი დაახასიათოს ყველა სასიცოცხლო ნიშან-თვისების მიხედვით (ქართ. III. 7.ბუნ.III.2).

მედიაწიგნიერების მიზანი:

✔ მედიარესურსის კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება;
✔ სხვადასხვა მედიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის ანალიზი და შეფასება.

საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი:

1. საინფორმაციო ტექსტი „კოლიბრი“;
2. კროსვორდი, სქემა;
3. ვიდეოფილმი https://www.youtube.com/watch?v=bmiHTRQcWWM- ფილმში ჩანს, როგორ იკეთებს ბუდეს კოლიბრი, რა ზომის კვერცხებს დებს, როგორ ზრდის ბარტყებს;
4. კონტურული ნახატი დავალებისათვის;
5. მოსწავლის სამუშაო ფურცლები;
6. პრეზენტაცია.

გაკვეთილის მიმდინარეობა

აქტივობა 1 (5 წთ) მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოთვალონ თავიანთი საყვარელი გარეული ფრინველები და ახსნან, რით დაიმსახურეს ამ ფრინველებმა მათი სიყვარული.

ჩამოთვალეთ თქვენი საყვარელი ფრინველები	რით დაიმსახურეს ამ ფრინველებმა თქვენი სიყვარული?
არწივი	ფრინველთა მეფეა
მტრედი	მშვიდობის სიმბოლოა
ფარშევანგი	ულამაზესია
მერცხალი	გაზაფხულის მახარობელია

აქტივობა 2 (5 წთ) მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს – დღევანდელი გაკვეთილი ეძღვნება საოცარ ფრინველს; მის სახელს (ფერად სვეტში მივიღებთ) შევიტყობთ, თუ სწორად ამოვხსნით ამ კროსვორდს:

1. მას ტყის მკურნალს უწოდებენ
2. მას კი თავსავარცხელას
3. ეს ბუნების მგოსანია
4. ეს კი ფრინველთა მეფეა
5. მას სიბრძნის სიმბოლოდ მიიჩნევენ
6. ეს კი კუდმაკრატელაა
7. ფრინველია, შავთეთრია, ვერ დაფრინავს, კარგად ცურავს, დაბაჯბაჯებს

შევსებული კროსვორდი

			კ	ო	დ	ა	ლ	ა
			ო	ფ	ო	ფ	ი	
	ბ	უ	ლ	ბ	უ	ლ	ი	
ა	რ	წ	ი	ვ	ი			
			ბ	უ				
	მ	ე	რ	ც	ხ	ა	ლ	ი
		პ	ი	ნ	გ	ვ	ი	ნ	ი

აქტივობა 3 (15წთ) ტექსტზე _____ მუშაობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წაიკითხონ საკითხავი მასალა **„კოლიბრი“ და შეავსონ თანდართული სქემა**

კოლიბრი

კოლიბრი ძალიან ლამაზი ფრინველია და მას ხშირად სამოთხის ჩიტს ეძახიან. ის გავრცელებულია ამერიკაში, განსაკუთრებით ბევრია სამხრეთ ამერიკაში.

კოლიბრი ყველაზე პატარა ზომის ფრინველია და მისი წონა ორ გრამამდეა. ზოგი მათგანი იმდენად პატარაა, რომ „ფრინველ-ბუზს“ უწოდებენ.

კოლიბრი სხვადასხვანაირია, მათი ბუმბულიც განსხვავებული ფერისაა. მეცნიერები ამბობენ: რამდენი ფერიც არსებობს ბუნებაში, ყველა იმ ფერის ბუმბული შეიძლება ჰქონდეს კოლიბრს. სილამაზის ხაზგასასმელად მას ხან „მზის სხივს“ უწოდებს, ხან – „ტყის ვარსკვლავს“, ხან – „ცეცხლოსანს“, ხან – „ცისარტყელას“ და სხვ. ერთ-ერთი კოლიბრის ქოჩორი მუზარადს წააგავს, ამის გამო მას „მუზარადიანი კოლიბრი“ შეარქვეს.

კოლიბრს ნისკარტიც საოცარი აქვს, ზოგს იმდენად წვეტიანი ნისკარტი აქვს, რომ ნემსი გეგონება. ამიტომაა, რომ მტაცებელი ფრინველებიც კი გაურბიან. აბა გაბედონ და თავს დაესხან! იმ წუთში თვალებს გამოკორტნის მტაცებელს.

კოლიბრის საკვები ყვავილის ნექტარი, თაფლი, ბუზები, პეპლები და პატარა ხოჭოებია.

კოლიბრი

სხეულის ზომა სიდიდე წონა	
როგორია ბუმბულის შეფერილობა	
გავრცელების არეალი (სად გვხვდება)	
რითი იკვებება	
რითი იცავს თავს მტაცებლებისაგან	
როგორ მრავლდება (რა ზომის კვერცხებს დებს, რამდენს, როგორ ბარტყებს ჩეკავს, რა ზომის ბუდეს იშენებს?	

უკუკავშირი – მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს კითხვებით: – რა მონაცემები არ იყო ტექსტში/ სქემის რომელი ნაწილი ვერ შეავსეთ?

აქტივობა 4 (10 წთ) – გავიგოთ კოლიბრზე უფრო მეტი.

მასწავლებელი – იმისათვის, რომ უფრო მეტი გავიგოთ კოლიბრზე, კერძოდ კი იმაზე, თუ როგორ მრავლდებიან, ვნახოთ დოკუმენტური ფილმი:

https://www.youtube.com/watch?v=bmiHTRQcWWM

ფილმში ჩანს, როგორ იკეთებს ბუდეს კოლიბრი, რა ზომის კვერცხებს დებს, როგორ კვებავს ბარტყებს.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ფილმის მიხედვით, იმსჯელონ კოლიბრების გამრავლებაზე.

აქტივობა 5 (10 წთ) – მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს საპრეზენტაციო მასალას და მოსწავლეებს ავალებს: მიღებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, წყვილებმა გააფერადეთ კოლიბრის კონტურული ნახატი და შექმენით საინფორმაციო ტექსტი მსოფლიოში ყველაზე მცირე ზომის ფრინველზე.

გაითვალისწინეთ შემდეგი საკითხები:

1. გავრცელება და აღწერილობა;
2. რით იკვებება;
3. როგორ იცავს თავს მტრებისგან;
4. როგორ მრავლდება.

შეფასების ინსტრუმენტები

მასწავლებელმა მოსწავლე შეიძლება შეაფასოს შემდეგი კრიტერიუმებით:

1. მოსწავლემ მასალის წაკითხვამდე აქტიურად გამოხატა წინარე ცოდნა ფრინველების შესახებ?
2. მოსწავლემ დაამუშავა ტექსტი და შეავსო სქემა კოლიბრზე?
3. მოსწავლემ დოკუმენტური ფილმების ნახვის შემდეგ იმსჯელა კოლიბრის გამრავლების თავისებურებებზე?
4. მოსწავლემ შეაჯამა წაკითხული და ფილმში ნანახი და შექმნა საინფორმაციო ტექსტი და ვიზუალური მასალა?

დამხმარე რუბრიკა განმავითარებელი შეფასებისთვის

		იოლად შეძლო	გაუჭირდა	ვერ შეძლო	რა რეკომენდაცია მივცე?
1	მოსწავლემ მასალის წაკითხვამდე აქტიურად გამოხატა წინარე ცოდნა ფრინველების შესახებ?				
2	მოსწავლემ დაამუშავა ტექსტი და შეავსო სქემა კოლიბრზე?				
3	მოსწავლემ დოკუმენტური ფილმების ნახვის შემდეგ იმსჯელა კოლიბრის გამრავლების თავისებურებებზე?				
4	მოსწავლემ შეაჯამა წაკითხული და ფილმში ნანახი, შექმნა საინფორმაციო ტექსტი და ვიზუალური მასალა				

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

სადაც არ უნდა წავიდე, საბოლოოდ, ყოველთვის უკან – საქართველოში დავბრუნდები

რუბრიკის სტუმარია თათია ვაშაძე, FLEX-ის პროგრამის გამარჯვებული, ტეხასის შტატის ქალაქ ბურლესონის ჯოშუას სკოლის მოსწავლე

– თათია, პირველ რიგში, გაგვეცანი. რა შეგიძლია გვიამბო შენი მშობლიური, ჭიათურის №4 საჯარო სკოლის შესახებ?

– დავიბადე ქალაქ ჭიათურაში, სწავლა ქართულ გიმნაზიაში დავიწყე, თუმცა ოპტიმიზაციის გამო, მე-4 საჯარო სკოლაში მომიწია გადასვლა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს ის ადგილია, სადაც არა მარტო საგნობრივი, არამედ ცხოვრებისეული განათლება მივიღე. სკოლა წარმატებისაკენ მიმავალი მთავარი, პირველი ნაბიჯების გადადგმაშიც დამეხმარა. პატარაობიდანვე „მასწავლებლის შვილის“ იარლიყი მქონდა. ყველა ადამიანი, ვისაც უშუალოდ ჩემთან შეხება არ ჰქონდა, ჩემს ათოსნობას და მიღწეულ წარმატებებს სტერეოტიპულად უყურებდა, რის გამოც, ძალიან ბევრჯერ გამჩენია უსამართლობის განცდა. თუმცა, ახლა ვაცნობიერებ, რომ ამ ყველაფერმა, მეტი მუშაობა და საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენა მასწავლა. ბევრჯერ მიფიქრია და ვხვდები, რომ ჭიათურის საჯარო სკოლის არაჩვეულებრივი მასწავლებლები რომ არა, ამ წარმატებას ვერ მივაღწევდი. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ჩემი კლასის დამრიგებელი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ჩემთვის მისაბაძი პიროვნება, ქალბატონი **მანანა წერეთელი,** რომელიც მე-5 კლასიდან გვერდში მიდგას; დიდი სიყვარულით მინდა მოვიკითხო და ყველაფრისთვის მადლობა გადავუხადო ჩემი სკოლის დირექტორს, ბატონ **გურამ ლომიძეს**; ინგლისური ენის მასწავლებელს **ნანა გელაშვილს**; პედაგოგებს – **ნუნუ გაბრიჭიძეს, ხათუნა არაბიძეს, თამარ ხიხაძეს** და სხვებს.

– FLEX – მომავალ ლიდერთა გაცვლით პროგრამაში გამარჯვება არც ისე მარტივ ეტაპებს მოიცავს. რამდენად რთული იყო წარმატების მიღწევა და რა არის ყველაზე მთავარი, რაც კონკურსში გამარჯვებას განაპირობებს?

– FLEX-ის პროგრამაში გასამარჯვებლად ძალიან ბევრი კრიტერიუმია, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდე, თუმცა ვფიქრობ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია არ მოირგო სხვა ადამიანის როლი და წარმატების ნიღბით მიღწევას არ ეცადო. მუდმივად ვიმეორებდი ჩემს საყვარელ ციტატას: „ვისაც მაღალი კოშკის აგება სურს, დიდხანს უნდა დაკავდეს ფუნდამენტის ამოყვანით“, რაც, ვფიქრობ, ყველაზე მეტად დამეხმარა გამარჯვებაში.

– პროგრამამ საშუალება მოგცა გაცნობოდი ამერიკული სკოლის სპეციფიკას... რა მსგავსება და განსხვავებაა ქართულ სკოლასა და ამერიკულს შორის? გაგვიზიარე ამერიკულ სკოლაში მიღებული შთაბეჭდილებები... რა შეგმატა პროგრამაში მონაწილეობამ?

– წამოსვლამდე ძალიან ბევრჯერ მიფიქრია, როგორი იქნებოდა ჩემი ამერიკული სკოლა, თუმცა ასეთ მეგობრულ და სასიამოვნო გარემოს ვერასოდეს წარმოვიდგენდი. ვცხოვრობ ტეხასში, ქალაქ ბურლესონში და ვარ Joshua High School-ის X კლასის მოსწავლე. სკოლაში ყველა თბილად მექცევა, ცდილობენ, მაქსიმალურად შემიწყონ ხელი მათ საზოგადოებასთან ინტეგრირებაში. მეც, რა თქმა უნდა, ვცდილობ აქტიური ვიყო. ამჟამად, ვუკრავ ფორტეპიანოზე სკოლის ჯაზ-ბენდში; ვცეკვავ, ვარ მოსწავლეთა საბჭოსა და გამოსაშვები საღამოს კომიტეტის წევრი. ასევე, ოფიციალურად ვარ მიწვეული სკოლის საუკეთესო მოსწავლეთა დაჯილდოებაზე. ამერიკული სკოლის ჯაზ-ბენდში ყოფნა, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო გამოცდილება იყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველთვის კლასიკურ მუსიკას ვუთმობდი დიდ ყურადღებას და ჯაზი არასოდეს დამიკრავს. ზოგადად, ძალიან მიყვარს სიახლეები და გამოწვევები, რომელიც თავიდან შეუძლებლად მეჩვენება, ვფიქრობ, სწორედ ეს გაყალიბებს ძლიერ ადამიანად და ცხოვრებისეულ პრობლემებთან გამკლავებას გასწავლის. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ცოტათი ძნელი იყო, ფორტეპიანოსთან გათენებული ღამეების შემდეგ, სასურველ დონეს მივაღწიე – უკვე ორ ეროვნულ ჯაზფესტივალზე და ოთხ კონცერტზე მაქვს წარმატებით დაკრული.

ქართული სკოლა ამერიკულისგან ძალიან განსხვავდება, არ ვგულისხმობ, რომ ერთ-ერთი მათგანი უკეთესი ან უარესია, უბრალოდ, ყველაფერი ძალიან განსხვავებულია. მაგალითად: ქართული განათლების სისტემა 12 საგნით შემოიფარგლება, რომლის სწავლა ყველა მოსწავლისთვის სავალდებულოა, მიუხედავად მისი შესაძლებლობებისა და ინტერესებისა, ხოლო ამერიკული სკოლის მოსწავლეს, მრავალფეროვანი შეთავაზებიდან, სასურველი საგნების არჩევის საშუალება აქვს, რაც საკუთარი თავის ადვილად პოვნაში ეხმარება. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ პროგრამაში მონაწილეობამ შემმატა, საკუთარი თავის რწმენა და დამოუკიდებლობაა. როდესაც 15 წლის ასაკში, საცხოვრებლად, სულ სხვა კონტინენტზე, რადიკალურად განსხვავებულ კულტურაში მიდიხარ, მაინც მარტო რჩები, საკუთარ თავთან პირისპირ და ყველაფერი მხოლოდ შენზეა დამოკიდებული.

– როგორია შენი „ამერიკული ოჯახი“, რამდენად დაგეხმარნენ ისინი ადაპტაციაში? გაგვიზიარე შენი შთაბეჭდილებები.

– მყავს არაჩვეულებრივი ამერიკული ოჯახი, რომელმაც გაცნობის პირველი დღიდანვე საკუთარი შვილივით მიმიღო. ყოველთვის ცდილობენ ყველაფერზე პოზიტიური თვალით შემახედონ და დამანახონ, თუ რამდენად ადვილია იმის მიღწევა, რის გაკეთებაზეც გუშინ ფიქრიც კი არ შემეძლო. ალბათ ძალიან ცოტა მასპინძელ ოჯახს მიჰყავს გაცვლითი სტუდენტი დაბადების დღეზე, სხვა ქვეყანაში სამოგზაუროდ ან საყვარელი ბენდის კონცერტზე საშობაოდ. ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ჩვენი ურთიერთობა არა მხოლოდ იმ ერთწლიანი პროგრამის წესებზე და მოვალეობებზეა დაფუძნებული, არამედ ნამდვილ ოჯახურ სიყვარულსა და ურთიერთპატივისცემაზე.

– როგორია ამერიკულ სკოლაში თანაკლასელების, მასწავლებლების, მშობლების ურთიერთდამოკიდებულება?

– ამერიკულ სკოლაში, რაც ყველაზე მეტად მომწონს, მასწავლებლების და მოსწავლეების დამოკიდებულებაა. არასოდეს, არც ერთი მასწავლებელი, კლასის წინაშე, მოსწავლეზე ხმამაღლა არ საუბრობს, არ აცხადებს მის ნიშანს, რაც, თავის მხრივ, მოსწავლეებს შორის პოზიტიური, თავისუფალი ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და თანატოლობის გრძნობის გაჩენას უწყობს ხელს.

– როგორ ახერხებ პრეზენტაციებზე საქართველოს პოზიტიური კუთხით წარმოჩენას?

– ყოველთვის ვცდილობ, აქცენტი ჩვენს მდიდარ კულტურასა და ისტორიაზე გავაკეთო. ძირითადად, სლაიდ-შოუს და სხვადასხვა პოსტერებს ვიყენებ. რამდენიმეჯერ ტრადიციული ტანსაცმელიც მეცვა, რათა ბავშვებს ეკრანის მიღმაც ჰქონოდათ ნამდილ ქართულთან შეხება. თითქმის ოთხ სხვადასხვა სკოლაში ჩავატარე პრეზენტაცია და ყველგან ძალიან დიდი დაინტერესება დავინახე საქართველოსადმი.

– მოხალისეობის პროცესში ჩართვა პროგრამის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. კერძოდ რა საქმიანობას ეწევი და რა გამოცდილებას იღებს ადამიანი მსგავს საქმიანობაში ჩართულობით?

– დიახ, სამოხალისეო საათები პროგრამის მთავარი მოთხოვნაა. FLEX, ხომ, მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამაა. შესაბამისად, ვფიქრობ, ნამდვილი ლიდერი, და ზოგადად, ადამიანი, რომელიც ცდილობს გარკვეულ გარემოში პოზიტიური ცვლილება მოახდინოს, ნაკლებად უნდა ფიქრობდეს საქმის მატერიალურ მხარეზე, ამ უნარის ჩამოყალიბებაში მოხალისეობრივ საქმიანობას დიდი წვლილი მიუძღვის. ჩემი ორგანიზაციიდან მხოლოდ 30 სამოხალისეო საათის მოთხოვნა მქონდა, თუმცა, დაახლოებით, 4-ჯერ მეტი ვიმოხალისევე. ყოველთვის ვცდილობ ნაკლებად შევხედო რაიმეს, როგორც ვალდებულებას და მეტი ვაკეთო ის საქმე, რაც მიყვარს. ალბათ ამიტომაც, დღეში12 საათიც კი მიმოხალისევია, რათა რაც შეიძლება მეტ გაჭირვებულ ოჯახში შემეტანა პოზიტივი, მეტი ბავშვის ღიმილიანი და მშობლის მადლიერი სახე დამენახა შობის დილით და უბრალოდ, რამდენიმე ადამიანის ცხოვრება მაინც შემეცვალა ჩემი არსებობით.

– როგორც ვიცი, ხარ GLOW (GERLS LEADING OUR WORLD) ორგანიზაციის ელჩი. გვიამბე მისი საქმიანობისა და ორგანიზაციაში შენი უფლება-მოვალეობების შესახებ.

– GLOW ეს არის ორგანიზაცია, რომელიც საშუალებას აძლევს გოგონებს, გაეცნონ საკუთარ უფლებებსა და შესაძლებლობებს, აგრეთვე მიიღონ ინფორმაცია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: გარემოს დაცვა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და სხვ. რაც შეეხება ელჩებს, ჩვენ ის გოგონები ვართ, რომლებიც სხვადასხვა სახის პროექტებს ვახორციელებთ ორგანიზაციის მხარდაჭერით და ჩვენს საცხოვრებელ გარემოსა და საზოგადოებაზე პოზიტიური გავლენის მოხდენას ვცდილობთ.

– როგორ გესახება მომავალი, სად აპირებ სწავლის გაგრძელებას, რამდენად განსაზღვრა ამერიკაში გატარებულმა პერიოდმა შენი სამომავლო გეგმები, შეუწყო თუ არა ხელი პირად და პროფესიულ ზრდას?

– პირველი, რასაც ვფიქრობ, არის ის, რომ ვიყო აქტიური FLEX პროგრამის კურსდამთავრებული და მაქსიმალურად შევეცადო, აქ მიღებული გამოცდილება სხვებს გავუზიარო. რაც შეეხება პროფესიას, დანამდვილებით ვიცი, მინდა ვიყო ადამიანი, ვინც ხალხისა და საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობაზე იზრუნებს! ამის გაკეთებას კი პროფესია არ განსაზღვრავს. თუმცა, სავარაუდოდ, იურიდიულზე ჩავაბარებ და საქართველოს უნივერსიტეტში განათლების მიღების შემდეგ, საზღვარგარეთ, რომელიმე უნივერსიტეტში ჩაბარებაზე ვიფიქრებ. ერთი წლის წინ, როდესაც ჩემი ბევრი ნათესავის რჩევას ვითვალისწინებდი, ძალიან ბევრი რამ, მათ შორის, ექიმობაც კი მინდოდა, მეუბნებოდნენ, რომ ეს ჩემთვის შესაფერისი პროფესია იყო. თან ჩემს ძმას ვუყურებდი, რომელიც სამედიცინო უნივერსიტეტის დამამთავრებელ კურსზეა. მასზე ბევრი კარგი მესმოდა და ჩემთვის სამაგალითოა, ამიტომაც ვფიქრობდი, მეც იგივე პროფესია ამერჩია, თუმცა, ბედნიერი ვარ, რომ, საბოლოოდ, მაინც კარიერის დამოუკიდებლად გაკვლევა გადავწყვიტე და არა ძმის მიერ განვლილი გზის გამეორება. მთავარი, რაც ამერიკაში ვისწავლე ის არის, რომ შენ ცხოვრებას შენს მაგივრად ვერავინ გაივლის და ვერც ვერავინ დაგეგმავს. იმას კი, 70 წლის ასაკში, ერთ დილას რომ გაიღვიძო და თქვა „აი, ეს რომ გამეკეთებინა, იქნებ...“ სჯობს, ახალგაზრდობაშივე ის საქმე აირჩიო, რომელსაც შენს მოწოდებად თვლი.

– რას ურჩევ FLEX-ის პროგრამში მონაწილეობის მსურველებს?

– როგორც ერთ-ერთ წინა კითხვაში აღვნიშნე, ვურჩევდი იყვნენ ისეთები, როგორებიც ნამდვილად არიან და არანაირი როლის მორგებას არ ეცადონ. სჯეროდეთ საკუთარი თავის და პირველ ცდაზე წარუმატებლობის შემთხვევაში, არ დანებდნენ.

– როდის ბრუნდები საქართველოში, რა გენატრება ყველაზე მეტად და როგორია შენი თვალით დანახული საქართველო, ოკეანის მიღმა?

– ივნისის დასაწყისში ვბრუნდები. რაც შეეხება მონატრებას, მართლა ძალიან მიჭირს ერთი რამის გამოყოფა. ოკეანის მიღმა, საქართველო, მართლა სხვანაირი ჩანს. თუმცა, უფრო ალბათ ჩემს თვალში გამოჩნდა სხვანაირი, რადგან როდესაც მანდ ვარ, რეალობისათვის თვალის გასწორება და დადებითსა და უარყოფითზე საუბარი ძნელია. ვიტყოდი, რომ საქართველო ძალიან მდიდარი კულტურის, ისტორიისა და მყარი ურთიერთობების მქონე ქვეყანაა, რომლითაც ყოველთვის ვამაყობდი, ვამაყობ, ვიამაყებ და მიუხედავად ყველაფრისა, სადაც არ უნდა წავიდე, საბოლოოდ, ყოველთვის უკან – საქართველოში დავბრუნდები.

ესაუბრა **მაკა ყიფიანი**

სასკოლო აქტივობა

გაკვეთილი ბულინგის თემაზე

ბულინგი/მობინგი – მოზარდთა შორის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა თანამედროვე ცხოვრების მწვავე პრობლემაა, რომლის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს რაიმე ნიშნით მოზარდის განსხვავებულობა, ფიზიკური ნაკლი ან სხვა გარემოება. სამწუხაროდ, ძალადობა, სისასტიკე, სხვისი ღირსების შელახვა ხშირია 11-12 წლის ასაკის მოსწავლეთა შორის. ამ მეტად სენსიტიურ პერიოდში ბავშვებისათვის დამახასიათებელი ხდება 2 ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია: ერთი მხრივ, ნეგატიურია შფოთვა, დაუმორჩილებლობა, გამომწვევი საქციელი, მეორე მხრივ, პოზიტიურია სწრაფვა დამოუკიდებლობისა და დიდობისაკენ, პრესტიჟისა და აღიარებისაკენ, საკუთარი თავის და სხვების მიმართ პასუხიმგებლობის განვითარება. პრობლემა ისაა, რომ ხშირად ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ხდება სხვა ბავშვების ჩაგვრით, დაშინებით, ძალადობითა და მუქარით. განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩევიან მშობელთა ყურადღებას მოკლებული, ხშირად გაკვეთილების შემდეგ უმეთვალყურეოდ დარჩენილები.

როგორ შეიძლება მოგვარდეს ეს საჭირბოროტო პრობლემა? ბევრი გამოსავალს სკოლაში მოსწავლეთა ქცევის წესების გამკაცრებაში ხედავს; მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ოჯახის როლი და პასუხისმგებლობაა ასამაღლებელი. ჩვენი აზრით, სუკეთესო გამოსავალი მოზარდთა შორის ძალადობის პრევენციაა. თანამედროვე ფსიქოლოგიური კვლევები ადასტურებენ, რომ ადამიანის აღზრდის სისტემაში, რომელიც უამრავ ქვესისტემას, ელემენტსა თუ ფორმას მოიცავს, სასკოლო აღზრდა, თავისი ხანგრძლივობითა და ინტენსივობით, ყველაზე მნიშვნელოვანია. და ეს ბუნებრივიცაა, რადგან პიროვნების ხასიათი, ღირებულებები, რწმენა სასკოლო ასაკში ყალიბდება. ამიტომაც სწავლების პროცესში, ცოდნის ათვისებასთან ერთად, მიზნად ვისახავთ მოსწავლის ზნეობრივ აღზრდასა და მისი მოტივაციურ-მოთხოვნილებითი სფეროს შეცვლას. სასურველი ეფექტის მისაღწევად 2 ურთიერთდაკავშირებული მიმართულებით ვმუშაობ: I. მიზანდასახულად ვარჩევ მასალას, რომელსაც მკვეთრად გამოხატული ზნეობრივი იდეა და მოსწავლეებში ძლიერი ემოციური გამოძახილის გამოწვევის შესაძლებლობა აქვს, რათა მხატვრულ ნაწარმოებებზე მუშაობის პროცესში ბუნებრივად გავაკეთო აქცენტი ისეთ ღირებულებებზე, როგორიცაა: თანაგრძნობა, შებრალება, პატიება, მიმტევებლობა; II. გაკვეთილზე ვიყენებ სწავლების თანამედროვე სტრატეგიებს.

ამ იდეის დაკონკრეტებით წარმოგიდგენთ კონსტრუქტივისტული მიდგომით ჩატარებულ გაკვეთილს „არა ძალადობას“, რომლის რესურსად გამოვიყენეთ GPRIED-ის ფარგლებში გამოცემულ გაზეთ „კითხვის დროში“ გამოქვეყნებული მოთხრობა „წრიპა ჩარლი“.

გაკვეთილის პირველ ეტაპზე ვცდილობ, კლასში შეიქმნას საქმიანი ატმოსფერო, სათანადო განწყობა-დამოკიდებულება ტექსტის მიმართ. ვრთავ ძალადობის თემაზე გადაღებულ ვიდეოფილმს მეტად ემოციური და შთამბეჭდავი კადრებით. ფილმის მთავარი პერსონაჟია 11-12 წლის გოგონა, რომელსაც თანასკოლელები ზურგზე აწერენ დამამცირებელ სიტყვებს: სულელი, ხელმოცარული, მახინჯი. გოგონას ფიზიკურადაც უსწორდებიან: ხელს კრავენ, ძირს აგდებენ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე აბუჩად იგდებენ, შეურაცხყოფენ, არ უჩნდებათ მისი შებრალების სურვილი...

მოსწავლეთა გამომეტყველება მიმანიშნებს, რომ ჩაგრულის მიმართ დიდი თანაგრძნობით განეწყვნენ. ვთხოვ, იმსჯელონ ნანახ ფილმზე, გამოთქვან თავიანთი შთაბეჭდილებები. დაფაზე იწერება მათი ემოციები და მოსაზრებები: არ მოსწონთ მოძალადე ბავშვების სისასტიკე, თანაუგრძნობენ უსამართლოდ დაჩაგრულს, უარყოფითად განეწყობიან მათ მიმართ, ვინც გოგონას ღირსებას ამცირებს; ბავშვური თბილი ემოციით მოიხსენიებენ ერთადერთ მოსწავლეს, რომელმაც ფეხზე წამოაყენა დაცემული.

შემდეგ დაფაზე ვწერ წასაკითხი ტექსტის სათაურს – „წრიპა ჩარლი“ და ვთხოვ, გამოხატონ თავიანთი ასოციაციები და მოლოდინები. ბავშვების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ, ფილმის შინაარსიდან გამომდინარე, ელის ძალადობის თემის გაშლას, რადგან „წრიპა ჩარლი“ დამამცირებელი ზედმეტსახელია და, ალბათ, მოთხრობასაც ფილმის ანალოგიური სიუჟეტი ექნება; მეორენი, ფიქრობენ, რომ ჩაგრულ პერსონაჟს დამცველები გამოუჩნდებიან, რომ კეთილი დასასრული ექნება. ბავშვების ყველა მოსაზრებას ვაფიქსირებ დაფაზე, რითაც ვზრდი მათ ინტერესსა და ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში.

შემდეგ ვიწყებ ტექსტის კითხვას. ვიყენებ პაუზებიანი კითხვის სტრატეგიას. **პირველი მონაკვეთის** წაკითხვის შემდეგ ვსვამ კითხვებს: რა შთაბეჭდილება მოახდინა შენზე მოთხრობის დასაწყისმა? რომელმა დეტალმა მიიქცია განსაკუთრებული ყურადღება? თავად თუ გინახავს შენი თანატოლი მსგავს სიტუაციაში? როგორ ფიქრობ, რა მოხდება პერსონაჟის ცხოვრებაში? როგორი ურთიერთობაა ბავშვებს შორის? ვინ არის გარიყული და რატომ? ვინ არის დამნაშავე ამ ისტორიაში?

ვკითხულობ მეორე მონაკვეთს, რომელშიც მეტი მასალაა იმისათვის, რომ ბავშვებმა დაახასიათონ მთავარი პერსონაჟები, მათი ურთიერთობა, დაუკავშირონ საკუთარ სკოლას და გამოცდილებას. ვსვამთ კითხვებს: რა ურთიერთობაში არიან ბავშვები ლერისთან? როგორ გათავისუფლდა ნიკა უფროსკლასელების დამცირებისაგან? ვინ ჩაანაცვლა ნიკა? კლასი ჩართულია საკითხების განხილვაში. ვადგენთ ასოციაციურ რუკას თითოეულ პერსონაჟზე, მოსწავლეები აქტიურად განიხილავენ ტექსტს, პატივს სცემენ ერთმანეთის აზრს, სწავლობენ აზრის გამოთქმასა და ერთმანეთის მოსმენას, მოსაზრების არგუმენტით გამყარებას, ნათქვამის დაწერას. და აი, ბავშვები უპასუხებენ კითხვებს: ახასიათებენ ნიკასა და გიორგის, როგორც აგრესიის მსხვერპლთ, მუდმივად დაცინვის ობიექტებს, გარიყულებს, უმეგობროდ დარჩენილებს. ნიკასთან დაკავშირებით აზრები ორად გაიყო.ზოგმა მიიჩნია კეთილ და მეგობრულ ბიჭად, რადგან, ტექსტის მიხედვით, მან შეიბრალა ახალი მსხვერპლი – მასზე უფრო დაბალი გიორგი და შეეცადა მის დაცვას. თუმცა, მოსწავლეთა ნაწილმა ნიკაც მოძალადეთა ბანაკს მიაკუთვნა, რადგან კლასში გიორგის მოსვლის შემდეგ ის მოძალადე უფროსკლასელებს დაუმეგობრდა და მათთან ერთად დაამცირა გიორგი. ბავშვებმა ფორმალურად აღიქვეს ნიკას მიერ გიორგისთვის მიცემული რჩევები. მოსწავლეებმა იმსჯელეს ლერისა და სხვა მოძალადე უფროსკლასელების საქციელზე, ხაზი გაუსვეს მათ სისასტიკეს, ცინიზმსა და უხეშობას, სუსტებისა და პატარების დაშინება-დამორჩილების სურვილს.

ვკითხულობ ბოლო მონაკვეთს, უკვე მოძალადეთა ბანაკში გადასული ნიკას ერთგვარ აღსარებას: „არ ვიცი, რატომ ამცირებენ ბავშვები ერთმანეთს, იქნებ თუ სხვას პატარად აგრძნობინებ თავს, საკუთარი თავი დიდი და ძლიერი გგონია? ვერ გეტყვით, ერთი კი ნათელია, ასე გაგრძელება აღარ მინდა.არ ვიცი, როგორ მოვიქცე“. ვსვამ კითხვებს: როგორ უნდა მოიქცეს მოთხრობის მთავარი გმირი? თქვენი აზრით, რატომ ამცირებენ ბავშვები ერთმანეთს? რის მიხედვით არჩევენ სამიზნეს დასამცირებლად? შეიძლება თუ არა მოგვარდეს ეს პრობლემა?

ბავშვები ხაზს უსვამენ, რომ უფროსკლასელებმა დასამცირებლად გამოარჩიეს სუსტი აღნაგობის, ტანდაბალი ბავშვები, რაც ყოვლად მიუღებელია. მოსწავლეების აქტიური პოზიციის დასადასტურებლად მოგვყავს მათ მიერ ნიკას მისამართით გამოთქმული რჩევები და სურვილები: „კარგია, რომ მოინანია თავისი საქციელი, შეეცადოს, გაემიჯნოს მოძალადეებს“, „შეცდომა მაშინ დაუშვა, როცა ლერის გუნდს მიეკედლა, რათა გამოეცადა, თუ როგორია მოძალადის პოზიციაში ყოფნა. ახლა ეს შეცდომა უნდა გამოასწოროს, გააპროტესტოს, ხმა აიმაღლოს. მას აქვს შანსი გადაიქცეს დამოუკიდებელ და მამაც ბიჭად“, „მთავარია, თავის თავში მოძებნოს ძალა, დაამარცხოს შიში, რათა ჩხუბისთავ ბიჭებს თვალი თამამად გაუსწოროს, არ აგრძნობინოს რომ ეშინია; მათი მიზანი ხომ სუსტების დაჩაგვრა და საკუთარი სიძლიერის წარმოჩენაა!“ მოსწავლეთა აზრით, აგრესიას და ძალადობას მეგობრობა და ერთმანეთის თანადგომა უნდა გადაეღობოს წინ.

მოსწავლეებს მოვუწოდებ კარგად გაერკვნენ მოთხრობის პრობლემატიკაში, გაიხსენონ ამ თემაზე დაწერილი ნოდარ დუმბაძის „ბიჭი და ძაღლი“, შეადარონ ორი მოთხრობა ერთმანეთს, გამოყონ საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, დაწერონ ერთსტროფიანი ლექსი ამ თემაზე.

ამრიგად, გაკვეთილზე დასახული მიზნები განხორციელდა: მოსწავლეები დიდი ინტერესით იყვნენ ჩართულები ტექსტის გაგება-გააზრების პროცესში; მათ შეძლეს საკვანძო ადგილების ამოკრება, დეტალებზე დაკვირვება, ასოციაციური რუკების შედგენა. შთამბეჭდავი იყო მათი ხედვის, გრძნობებისა და ემოციების გადმოცემა. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ მოსწავლეები ახლოს მივიდნენ სასურველ ქცევასთან იმით, რომ მსჯელობის დროს გამოვლინდა მათი გულწრფელი თანადგომა აგრესიის მსხვერპლთა მიმართ, ნეგატიური დამოკიდებულება მოზარდებს შორის არსებულ ძალადობის ფორმებზე, რაც თანამედროვე სკოლების მეტად საჭირბოროტო საკითხია.

გულნაზ ხორბალაძე
სსიპ ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლის დირექტორი, ქართული ენის და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

ინკლუზიური განათლება და საზოგადოება

2015 წლის ნოემბრიდან, იმერეთის რეგიონის სამი სკოლა: სსიპ ქალაქ ქუთაისის №8 საჯარო (დირექტორი – **თეა ჩხეტია**), სსიპ ტარიელ კვირიკაშვილის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის წითელხევის (დირექტორი – **ნინო კოტორეიშვილი**) და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მუხიანის შოთა ნიშნიანიძის სახელობის საჯარო (დირექტორი – **მამუკა ქვაჩაკიძე**) ჩავერთეთ ერთობლივ კვლევით პროექტში – „ფეხი ავუწყოთ ევროპულ ღირებულებებს“ (ინკლუზიური განათლება და საზოგადოება).

პროექტის მიმდინარეობის პროცესში, ისევე როგორც ჩვეულებრივ ვითარებაში, სკოლების მთავარი პრიორიტეტი იყო – დაუღალავი შრომით გავაძლიეროთ და განვავითაროთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების აკადემიური და სოციალური უნარ-ჩვევები, მოვამზადოთ ისინი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და ხელი შევუწყოთ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბებაში. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ არის რიგი შემთხვევებისა, როცა საზოგადოების ერთ ნაწილს რომლისთვისაც მიუღებელია ასეთი ბავშვების სკოლაში ყოფნა, მიაჩნია, რომ ისინი ცალკე, იზოლირებულად უნდა სწავლობდნენ. სწორედ ამ მიზნით, სამივე სკოლის სპეციალურმა მასწავლებელმა (**მზია ზარნაძე**, **მარინა იოსებაშვილი**, **იზოლდა აფრიდონიძე**) გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა კვლევა, შეგვესწავლა საზოგადოების აზრი, მათი ინფორმირებულობა. შევადგინეთ კვლევისათვის შესაბამისი კითხვარი და ღონისძიებების გრაფიკი. გვინდოდა, საზოგადოებისთვის გვეჩვენებინა, როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ ასეთ ბავშვებთან.

მიზნის განსახორციელებლად, პროექტში „ფეხი ავუწყოთ ევროპულ ღირებულებებს“ ჩართულმა მეგობარმა სკოლებმა, პირველ რიგში, ჩავატარეთ ლექცია-საუბრები სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის, ვაჩვენეთ კინოფილმები. ლექცია-საუბრებისთვის შერჩეულ იქნა თემები: „შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს...“, „შესაძლებლობები შეუზღუდავია“, „ისინიც ჩვენი თანატოლები არიან“.

პროექტის ფარგლებში, გამოცდილების გაზიარების მიზნით, ურთიერთობა დავამყარეთ იმერეთის რეგიონის დღის ცენტრებთან. მათთან შეთანხმების საფუძველზე, შშმ პირთა საერთაშორისო დღეს მივუძღვენით შშმ მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის საგამოფენო დარბაზში. გამოფენაში, ზემოთ ჩამოთვლილ სკოლებთან ერთად, მონაწილეობდა ქუთაისის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი, ამავე ორგანიზაციის შშმ ბავშვთა დღის ცენტრი, თერჯოლის შშმ ბავშვთა დღის ცენტრი „საპოვნელა“, სამტრედიის შშმ ბავშვთა დღის ცენტრი „ლამპარი“ – მათ გამოფენაზე თავიანთი აღსაზრდელების ნამუშევრები წარმოადგინეს;.

გარდა ამისა, მომზადდა კითხვარები, რომლებიც ეხებოდა ინკლუზიური განათლების მოდელის ცოდნასა და შეფასებას. გამოკითხულ იქნა სკოლების ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები (როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების, ასევე ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეების).

პროექტის ხელმძღვანელები და ინტერვიუერები რესპონდენტებს წინასწარ უკავშირდებოდნენ და შეხვედრაზე უთანხმდებოდნენ. შეხვედრები ეწყობოდა სკოლაში, ოჯახებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. მოვახდინეთ გამოკითხულთა ანკეტირება, შეგროვდა ფოტო და წერილობითი მასალა. გამოკითხულთა, დაახლოებით, მესამედი ამბობს, რომ სკოლის საგანმანათლებლო სივრცეში დასაშვებია შშმ და სსსმ მოსწავლეთა სწავლება, თუკი მათ ექნებათ ხელშემწყობი პირობები, კერძოდ, საჭირო რესურსი, სპეციალური აუდიო-ვიდეომოწყობილობა და კომპიუტერული ტექნიკა, ასევე სკოლის ყველა პედაგოგისთვის, საგნის მასწავლებლებისთვის მაინც, ტრენინგების ჩატარება, ამასთან აუცილებელია თანამშრომლობა სხვადასხვა ტიპის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით.

მიმდინარე წლის მაისში დამეგობრებულმა სკოლებმა ჩაატარეს სამოდელო გაკვეთილები, რუბრიკით – „ჩვენ ვსწავლობთ ერთად“. სასწავლო წლის ბოლოსთვის, დაგეგმილი გვაქვს პროექტის მიმდინარეობის პროცესში ჩატარებული სამუშაოების პრეზენტაცია. პროექტი მომავალ წელსაც გაგრძელდება, პარტნიორი სკოლების მოსწავლეები თავიანთ შეხედულებებსა და სურვილებს გაუზიარებენ ერთმანეთს შშმ მოსწავლეთა შესახებ.

მსგავსი პროექტები არა მარტო მოსწავლეთა დამეგობრების საშუალებას მოგვცემს, არამედ იმის რეალურად გათავისებასაც შეუწყობს ხელს, რომ „ჩვენთვის უცხო არ არის ევროპული ღირებულებები“, ეს ბავშვებიც ჩვეულებრივი მოსწავლეები და საზოგადოების სრულფასოვანი წევრები არიან.

მზია ზარნაძე
სსიპ ქალაქ ქუთაისის №8 საჯარო სკოლის პედაგოგი

სასკოლო აქტივობა

„სამეფო გვირგვინი“ – სიყვარულისა და შემეცნების გზით

ნიკო ბაგრატიონის სახელობის სკოლა-ლიცეუმში გაიმართა ტრადიციული კონკურსი „სამეფო გვირგვინი“. ღონისძიება უკვე მესამე წელია იმართება და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს უკავშირდება. კონკურსში მონაწილეობა უფასოა. მისი მიზანია გამოავლინოს და წაახალისოს ნიჭიერი და შრომისმოყვარე მოსწავლეები, გააძლიეროს მათი ორიენტაცია ქრისტიანულ, ეროვნულსა და ტრადიციულ ფასეულობებზე, კულტურაზე, ხელოვნებაზე, ყურადღება გაამახვილოს ქართველ მეფეთა, ღვთისმსახურთა, წმინდანთა, მხედართმთავართა, ხელოვნების მოღვაწეთა ცხოვრებასა და დამსახურებებზე.

წელს კონკურსი ჩატარდა დევიზით – „რწმენა, ოჯახი, სკოლა – წარმატებული მოსწავლე“.

კონფერენციაზე მოისმინეს თემები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ისტორიაში, ღვთისმეტყველებაში, ინგლისურ ენაში, მათემატიკაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.

სკოლა-ლიცეუმისთვის განსაკუთრებით სასიხარულო იყო, რომ კონკურსში თბილისის სკოლების მოსწავლეებთან ერთად, მონაწილეობდნენ მოსწავლეები: ჭიათურის, ქუთაისის, ხულოს, ზუგდიდის, ცაგერის რაიონებიდან. აღსაზრდელებმა გამოავლინეს დამოუკიდებელი მუშაობის, შემოქმედებითი და მაღალი დონის შემეცნებითი უნარები. აღმოჩნდა, რომ მომავალი თაობა არ წყვეტს კავშირს წარსულთან. ისინი იკვლევენ, ეძებენ, ფიქრობენ სამშობლოს ბედზე, დიდ წინაპარ მეფეებში ხედავენ ქვეყნის გონიერ წინამძღოლს, აქედან გამომდინარე, აანალიზებენ ქვეყნის მმართველობის ფორმებსაც. ამიტომაც მოსწავლეებმა განსაკუთრებული ინტერესით იმუშავეს ისტორიულ თემებზე: „ვითარცა მეორე აღმაშენებელმან“ – გიორგი ბრწყინვალე“; „საქართველოს მომავალი მმართველობის ფორმა – კონსტიტუციური მონარქია“; „ნიკო ბური – გმირი, მოგზაური, მწერალი“; „ბაგრატიონების როლი ბუნებისმეტყველების განვითარებაში“; „ქრისტეს კვართის ჩამობრძანება საქართველოში“ და სხვ.

კონკურსმა გამოავლინა ნიკო ბაგრატიონის სკოლა-ლიცეუმის X კლასის მოსწავლის, **საბა ხიმშიაშვილის** განსაკუთრებული შემოქმედებითი უნარი. მის ესეებში ჩანს დამოუკიდებელი აზროვნება, ამა თუ იმ მოვლენის განსხვავებული ხედვა, მძაფრი კრიტიკა და სწორი ანალიზი. სასიამოვნო აღმოჩენა იყო ჭიათურის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის მართლმადიდებლური სკოლის VI კლასის მოსწავლის, **გიორგი ხვედელიძის** კრიტიკული მსჯელობის, ანალიზის უნარი, საგნის ცოდნა.

კონფერენციას ესწრებოდნენ პროფესორები: **მანანა ტაბიძე, გურამ ისაკაძე, მანანა გაბაშვილი**, მხატვარი **ელგუჯა ჩაჩავა**, პედაგოგები: **გია ჩხიკვიშვილი, ირმა სოხაძე, ირმა შიშინაშვილი, ნინო მარკოზია, მარინე პეტრიაშვილი** და სხვ.

კონკურსის მონაწილეთა დასკვნითი საზეიმო დაჯილდოება გაიმართა საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელებით, სამახსოვრო პრიზებით:

- **საბა ხიმშიაშვილი,** ნიკო ბაგრატიონის სახელობის სკოლა-ლიცეუმი, X კლასი; ქართული – I ადგილი; ფიზიკა – I ადგილი; ბიოლოგია – I ადგილი;
- **გიორგი ხვედელიძე,** ჭიათურის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა, VI კლასი; ისტორია – I ადგილი;
- **ლევან მოდებაძე,** ნიკო ბაგრატიონის სახელობის სკოლა-ლიცეუმი, VIII კლასი; ბიოლოგია – I ადგილი;
- **მარიამ ერგემლიძე,** ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის საჯარო სკოლა, X კლასი; ისტორია – II ადგილი და სხვ.

კონკურსის მონაწილეთა ნაშრომები დაიბეჭდება სკოლა-ლიცეუმის ალმანახში „ლიცეუმის ყვავილი“.

კონკურსში მონაწილე სხვადასხვა რეგიონის პედაგოგებმა მადლიერება გამოხატეს ნიკო ბაგრატიონის სახელობის სკოლა-ლიცეუმის მიმართ. მათი თქმით, მოსწავლეები კმაყოფილი და გახარებული დაბრუნდნენ თავიანთ სკოლებში, კიდევ უფრო გაიზარდა მათი მოტივაცია.

კონკურსს „სამეფო გვირგვინი“ ნიკო ბაგრატიონის სახელობის სკოლა-ლიცეუმი მომავალ წელსაც გამართავს და სიამოვნებით უმასპინძლებს მონაწილეობის მსურველებს.

იყიდება საქართველო

დიდი ქართველი ნოველისტი, ფილოსოფოსი, პატრიოტი ნიკო ლორთქიფანიძე XIX საუკუნეში გულისტკივილით წერდა, რომ საქართველოს ვკარგავდით, რომ საქართველო იყიდებოდა და, სამწუხაროდ, ორი საუკუნის შემდეგაც გვიწევს ამ ტრაგიკული ფრაზის გამეორება, იყიდება ის, რასაც ადრე საქართველო ერქვა, იყიდება ჩვენი და ჩვენი წინაპრების სისხლით გაჟღენთილი ჩვენი სამშობლო. დღეს, მსოფლიოს სივრცეში, მხოლოდ ჩვენ ვიყიდებით. პატრიოტიზმი, პატივისცემა, სიყვარული რატომღაც ვაჭრობაში, გამყიდველობაში, პირფერობაში გადაიზარდა, შემცირდნენ სამშობლოზე გულით შეყვარებული, პატრიოტული სისხლით ანთებული ადამიანები. ახლა მოდაში გამყიდველობა შემოვიდა და როგორც კარგი ვაჭარი ასაღებს თავის საქონელს მყიდველზე, ისე ასაღებენ ქართველები თავის მშობლიურ მიწა-წყალს, ჰყიდიან უსინდისოდ და, ამავდროულად, „პროფესიონალურად“. ჰყიდიან სამშობლოს დათოვლილი მწვერვალებით, მთის მდინარეებით, ოქროს და მადნის საბადოებით, მცენარეთა და ცხოველთა უნიკალური ენდემური ჯიშებით, უძველესი ფოლკლორითა და ლეგენდებით, არქეოლოგიური ძეგლებით, წარსულით, აწმყოთი, მომავლით... ჰყიდიან ყველაფერს: სინდისს, პატიოსნებას, სიყვარულს, ღირსებას. სამაგიეროდ, ყიდულობენ ხმებს, სკამებს, სამთავრობო პორტფელებს და შემდეგ გაყიდულს იკანონებენ. ყიდვა-გაყიდვის მტაცებლურ პროცესში იკარგება მიწა-წყალი, იკარგება ერის ინტელექტი, იჭრება ფესვი, ხმება ყლორტი და ქართველი ხალხიც, როგორც ტრადიციული ბრბო, ერთი მმართველისგან მეორესთან გადადის, მთავრობის მესვეურები მშვიდად და კმაყოფილად ყიდიან სამშობლოს, ყიდიან სულს, ყიდიან ქართველობას, ყიდიან იმას, რაც ერთადერთი ნათელი სხივი იყო ჩვენს არსებაში, ყიდიან თავისუფლებას და ხალხიც ბრმად იყიდება, იყიდება ისე, როგორც კარგად შესუქებული ღორი, იყიდება, იყიდება მისი სული... მაგრამ ბრბო ამ დინებას მშვიდად მიჰყვება, მიჰყვება და მაინც იყიდება... ჩვენი სამშობლოს დაცვა არ გამოგვდის და ყველა ყიდის, ცალკე უქონელი ყიდის, ცალკე მდიდარი, ცალკე მთავრობის წევრი, ცალკე ის, ვისაც გაყიდვის უფლებაც კი არ აქვს, საბოლოოდ, ყიდის ყველა: დიდიც და პატარაც და რატომღაც ვერავინ ვერ ხვდება. საქართველო იყიდება, საქართველო იყიდებოდა სულ, ყოველდღე, ყოველწამს, იყიდებოდა კრწანისში, აფხაზეთში, ცხინვალში... იყიდებოდა ჩვენ თვალწინ, ჩვენ კი, ვითომდა ბრმები, აქეთ-იქით ვაცეცებდით თვალებს, ვაცეცებდით, სანამ ჩვენი ჯერიც არ მოვიდა – გავიყიდეთ... სამწუხაროდ, გავიყიდეთ...

იქნებ დროა, ხმა ამოვიღოთ, იქნებ დროა, რაღაც შევცვალოთ, იქნებ დროა, ჩვენს მიწა-წყალს მთელი არსებით ჩავებღაუჭოთ. დავიცვათ ისე, როგორც საკუთარ შვილებს დავიცავდით, დავიცვათ ისე, როგორც საკუთარ სიცოცხლეს დავიცავდით. დავიცვათ ისე, რომ ვერავინ გაეკაროს ავი თვალით, ავი გულითა და უწმინდური ხელებით. საქართველო საბედისწერო ნახტომისათვის უნდა მოემზადოს და დაძლიოს უფსკრული, ვეფხვის მოქნილობით, ჯიხვის სისწრაფით, ამირანის სიძლიერით და გადაირჩინოს მომავალი.

საბა ხიმშიაშვილი, X კლასი
ნიკო ბაგრატიონის სახელობის სკოლა-ლიცეუმი

საქართველოს მომავალი მმართველობის ფორმა – კონსტიტუციური მონარქია

ბევრს მომავალი საქართველოს მმართველობის საუკეთესო ფორმად კონსტიტუციური მონარქია მიაჩნია. ჩვენც ამ თვალსაზრისს ვემხრობით და შესაბამის არგუმენტაციასაც წარმოგიდგენთ:

1. ფიქრობენ, რომ მონარქია ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარების რეალური შანსია და ეს ასეცაა. კონსტიტუციური მონარქია არის სრულიად ახალი შანსი აფხაზეთის პრობლემების მოგვარებისა და აფხაზეთთან ერთად ერთიან სახელმწიფოში თანაცხოვრებისა.

2. არსებობს საპარლამენტო მონარქიის ეფექტურობის მსოფლიო გამოცდილება. საქართველოს ეს პრაქტიკა არ გააჩნია და სწორედ ამიტომ ბევრი მოწინააღმდეგეა ამ მმართველობისა. მათ სხვანაირად წარმოუდგენიათ მეფე ქვეყნის სათავეში. ფიქრობენ, რომ მონარქის შენახვა სახელმწიფოს უფრო ძვირი დაუჯდება, თუმცა გადაჭრით შეიძლება ითქვას, ბევრად უფრო ნაკლები, ვიდრე დღეს უჯდება ჩვენს ქვეყანას პრეზიდენტი საკუთარი რეზიდენციებით, მანქანებით, ვეტმფრენებით, საზღვარგარეთული ვოიაჟებით და მრავალრიცხოვანი დაცვით.

3. რამდენიმე წლის წინ პატრიარქმა მიმართა ერს, ეფიქრა სამეფო ტახტის აღდგენაზე, კონსტიტუციური მონარქიის სახით, რასაც ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოების მხრიდან. იყო დადებითი და უარყოფითი შეფასებები, კიცხავდნენ პატრიარქს, რომელსაც თითქოს მონარქიის აღდგენით ეკლესიის ბურჯის გამაგრება სურდა. დაიწყეს იმაზე საუბარი, თუ ვინ იქნებოდა შესაფერისი მემკვიდრე. ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს ინიციატივით და საქართველოს საპატრიარქოს მხარდაჭერით, 2001 წლის 28 სექტემბერს, საპატრიარქოში გაიმართა კონფერენცია თემაზე: „გზა მონარქიისაკენ!“:

„კონფერენცია, რომელიც ამჟამად ჩვენთან ტარდება, ვფიქრობ, მეტად მნიშვნელოვანი და დროულია. ჩვენ შევეხებით ბაგრატიონთა როლს ქართველი ერის ისტორიაში. თითოეულ ჩვენგანს შეუძლია გამოთქვას აზრი იმის შესახებ, თუ რა როლი უნდა დაეკისროს ამ გვარს მომავალში. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ბაგრატიონთა წინაპარი არის წმიდა დიდი მეფე და წინასწარმეტყველი დავითი და მისი შვილი, მეფე სოლომონი. დიდია დამსახურება ამ ერთ-ერთი უძველესი სამეფო დინასტიისა მსოფლიოში“.

4. მონარქიის დამკვიდრება უნაყოფო შეიძლება აღმოჩნდეს მანამ, სანამ საზოგადოება არ გააცნობიერებს მის მნიშვნელობას, თუმცა ჩვენს წარსულს რომ გადავხედოთ და გავიხსენოთ ბაგრატიონთა უძველესი დინასტიის როლი საქართველოს ისტორიაში, ამით გავამართლებთ ვარაუდს, რომ კონსტიტუციური მონარქიის დამყარება დადებითი მოვლენა იქნება ჩვენი ქვეყნისთვის.

5. კონსტიტუციური მონარქიის დამყარების შემდეგ საქართველო ავტომატურად შევა მაღალგანვითარებული ქვეყნების თანამეგობრობაში, სადაც მონარქიული მმართველობაა და რომელთა შორის არიან: ინგლისი, ესპანეთი, დანია, ნორვეგია, შვედეთი, ბელგია, ჰოლანდია და გახდება ამ თანამეგობრობის სრულფასოვანი წევრი.

6. ყველასთვის უცნობი და განუვითარებელი პოსტსაბჭოური უკანასკნელი რიგიდან ერთბაშად ევროპული ქვეყნების სათავეში მოვექცევით, როგორც 1300-წლოვანი სამეფო დინასტიის მქონე სახელმწიფო.

7. მსოფლიოს წინაშე ერთბაშად წარდგება არა სლავური კულტურის ნარჩენებზე აღმოცენებული (როგორც ეს ბევრს წარმოუდგენია), არამედ სრულიად განსხვავებული ეთნოკულტურის, ორიგინალური დამწერლობის, ხელოვნების, ხუროთმოძღვრების, პოეზიის ქვეყანა.

8. საქართველოში სამეფო ხელისუფლების დამყარება ავტომატურად გამოიყვანს ჩვენს ქვეყანას რუსეთის გავლენის სფეროდან, რადგან დსთ-ს პოსტსაბჭოურ სტრუქტურებში ნონსენსია სამეფო ქვეყნის არსებობა! მეორე მხრივ, ამგვარი სტატუსის სახელმწიფო გაცილებით უფრო მაღალრეიტინგულია და ღირსეულად იქნება მიღებული ნებისმიერ ევროპულსა და მსოფლიო თანამეგობრობაში, იქნება ეს გაერო, ეუთო თუ ევროპის კავშირი.

9. უცხო ქვეყნების სამეფო ოჯახები დიდ პატივად მიიჩნევენ თანაბარუფლებიანი კავშირების დამყარებას ღირსებააღდგენილ ბაგრატიონთა დინასტიასთან, რის შედეგადაც დინასტიური ნათესაობები ქვეყანათა შორის ნათესაურ ურთიერთობებში გადაიზრდება, ამას ბუნებრივად მოჰყვება კავშირი ჰუმანიტარულ დონეზე და კულტურული ღირებულებების ურთიერთგაცვლა.

10. რაც მთავარია, კონსტიტუციური მონარქიის აღდგენა არავითარ შემთხვევში არ გულისხმობს ყოფილი თავადაზნაურობისათვის ქონებრივი უფლებების აღდგენას.

11. მონარქი ყოველთვის პოპულარულია, ვიდრე პრეზიდენტი, რომელსაც ზოგჯერ ხმას აძლევს ამომრჩევლის 50%-ზე ნაკლები, ანუ მოსახლეობის უმცირესობა.

12. არჩეული პრეზიდენტები, უპირველეს ყოვლისა, თავიანთ პოლიტიკურ მომავალზე ფიქრობენ და ძალაუფლების შენარჩუნებისათვის ზრუნავენ. მათ შეუძლიათ ისარგებლონ დროებით ხელისუფლებაში ყოფნით, როგორც ეს ხდებოდა, მაგალითად, ბრაზილიაში, რათა გამდიდრდნენ. მონარქიაზე არ მოქმედებს გავლენა, რომელსაც შეუძლია აცდუნოს ხანმოკლე ვადით არჩეული პრეზიდენტი. მონარქი ერის საკეთილდღეოდ იხედება როგორც უკან, ასწლეულების სიღრმეში, ისე წინ – მომავლისკენ, ფიქრობს მემკვიდრეზე.

ჩვენ ვართ მონარქისტები! ჩვენ ვართ ქრისტიანები! ჩვენ გვსურს, რომ ქვეყანა მართოს მეფემ. ჩვენს ქვეყანას მონარქიულ მმართველობაში 200-წლიანი წყვეტა აქვს, ამიტომ საზოგადოების ნაწილისათვის ეს იდეა შეიძლება მიუღებელი იყოს. მიგვაჩნია, რომ შესაბამისი მუშაობით შევძლებთ საზოგადოების ამ ნაწილის დარწმუნებასაც და აღვადგენთ ჩვენთვის ტრადიციულ და მომავლისათვის ყველაზე მისაღებ მმართველობის ფორმას – კონსტიტუციურ მონარქიას.

ნინი მგელაძე, VIII კლასი
ნიკოლოზ ელისაშვილი, XI კლასი
ნიკო ბაგრატიონის სახელობის სკოლა-ლიცეუმი

პედაგოგთა დასახმარებლად

მარინე დემეტრაშვილი

სამოქალაქო განათლება

დისკრიმინაცია

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეები გააანალიზებენ თავისუფლებისა და თანასწორობის უფლების მნიშვნელობას, დისკრიმინაციის ფორმების მრავალმხრივობას როგორც საქართველოში, ასევე სხვა სახელმწიფოებში. გაეცნობიან დისკრიმინაციისგან თავის დაცვის საკანონმდებლო და პრაქტიკულ მექანიზმებს, ასევე გაიაზრებენ დისკრიმინაციის პრობლემის აქტუალურობას და პრაქტიკაში მოიქცევიან ისე, რომ შესაძლებლობის ფარგლებში, კანონის დაცვით, ხელი შეუშალონ დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის გამოვლენას.

მიღებული ცოდნის საფუძველზე მოსწავლეები შეძლებენ: დისკრიმინაციის ფორმების ერთმანეთისგან გარჩევას, პოზიტიური და ნეგატიური დისკრიმინაციის შემთხვევების იდენტიფიცირებას და ერთმანეთისგან გამიჯვნას; გაიაზრებენ და დაინახავენ პრობლემის აქტუალობას; ეცოდინებათ სამართლებრივი დაცვის მექანიზმები.

გაკვეთილს ვიწყებთ გონებრივი იერიშით: **რა არის დისკრიმინაცია, რა ნიშნით შეიძლება მოხდეს დისკრიმინაცია? (3 წთ.)**

მოსწავლეები ჩამოთვლიან:

- ✓ რასა
- ✓ კანის ფერი
- ✓ სქესი
- ✓ რელიგია
- ✓ პოლიტიკური შეხედულება
- ✓ ეთნიკური წარმოშობა
- ✓ ასაკი
- ✓ სოციალური მდგომარეობა.

ყველაფერი ეს ადამიანის თანასწორობის ძირითადი უფლებებია, ანუ ამ ნიშნით, ფაქტობრივად, თანასწორები ვართ ყველა, იურიდიულად არ ვართ თანასწორნი. მაგ., სხვადასხვა კვალიფიკაცია გვაქვს ინგლისურ ენაში და სამსახურში ის მიიღეს, ვისაც უფრო მაღალი კვალიფიკაცია აქვს.

ამის შემდეგ მოსწავლეებს ეკრანზე ვაჩვენებთ კონსტიტუციის მე-14 მუხლს:

„ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.“

მოსწავლეები გაიაზრებენ, როგორ გვიცავს ქვეყნის ძირითადი კანონი, რომ ვიყოთ თანასწორნი და აქვე ვაკეთებთ დასკვნას, რომ ტოტალური თანასწორობა არ არსებობს. ადამიანებს უნდა მიეცეთ შანსების თანასწორობა.

შემდეგ ვსვამთ კითხვას: რა ძირითადი უფლებები ვიცით? აქვე გამოვკვეთავთ ადამიანის აბსოლუტურ უფლებებს. აბსოლუტური უფლებაა ადამიანის ღირსება და პატივი. ამიტომ წამება, სასტიკი მოპყრობა, მონობა დაუშვებელია. თუმცა, აბსოლუტურად თავისუფალი ადამიანი მაინც ვერ იქნება, ამის მექანიზმი არ არსებობს.

თანასწორობის ძირითადი უფლებების დარღვევა ასევე იწვევს თავისუფლების უფლების დარღვევას. მოსწავლეებს ვაცნობთ ციცერონის და ჯონ ლოკის მოსაზრებებს ადამიანის უფლებებზე.

ვიყენებთ კვლავ გონებრივ იერიშს (6 წთ). ჩამოვწეროთ ის მიზეზები, რაც თქვენი აზრით შეიძლება იყოს მიკერძოების, სუბიექტური დამოკიდებულების ჩამოყალიბების საფუძველი საზოგადოებაში სხვადასხვა საკითხთან მიმართებით.

აქვე ვაცნობთ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველ მუხლს:

„ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით, მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით.“

მოსწავლეებმა ჯგუფებში უნდა იმსჯელონ თუ რა იწვევს რასობრივ, რელიგიურ და სოციალურ უთანასწორობას. მათ უნდა იფიქრონ რა გავლენას ახდენს ოჯახი, სამეგობრო წრე და სახელმწიფო მოქალაქეებზე აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.



ვაკეთებთ დასკვნას: საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე, სახელმწიფომ უნდა მოახერხოს საუკეთესო გადაწყვეტილების მიღება, რადგან კანონი ვერ უზრუნველყოფს, რომ თანასწორობა იყოს აბსოლუტური.

სასკოლო აქტივობა

შეხვედრა საპატიო კურსდამთავრებულთან

სსიპ ქალაქ თბილისის №62 საჯარო სკოლამ გულთბილი საიუბილეო შეხვედრა მოუწყო უდიდესი წარმატებების მქონე სპორტსმენს, ჭადრაკში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს, სკოლის მედალოსან კურსდამთავრებულს, ქალბატონ **ნონა გაფრინდაშვილს**.

სკოლაში ჩემპიონის 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილი არაერთი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა, რომელშიც სკოლის სამივე საფეხურის მოსწავლეები დიდი შემართებით ჩაერთვნენ.

სკოლა აქტიურად ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივებს, რომლის შედეგადაც არაერთი საინტერესო პროექტი განხორციელდა. 2015-2016 სასწავლო წლიდან ჩართული ვართ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჭადრაკის ელექტრონული სწავლების საპილოტე პროგრამაში, რომელიც მიზნად ისახავს სკოლებში ჭადრაკის პოპულარიზაციას. პროგრამა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, ხალისით შეისწავლონ ბრძნული თამაშის ელემენტები და ადრეულ ასაკშივე განივითარონ ლოგიკური და ანალიტიკური უნარ-ჩვევები.

სწორედ ამ მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, სსიპ ქალაქ თბილისის №62 საჯარო სკოლა აქტიურად ჩაერთო ჭადრაკის ელექტრონული სწავლების საპილოტე პროგრამაში. აღნიშნული პროგრამით, მეორეკლასელებთან, ოთხ პარალელურ კლასში, ჭადრაკის სწავლებას ვახორციელებ. ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო საღამოზე დამსწრე საზოგადოებას მეორეკლასელთა (ხელმძღვანელი – **ინეზა ფრანგიშვილი**) ელექტრონული პროგრამით სწავლებით მიღწეული შედეგები წარვუდგინეთ. მოსწავლეებმა შეისწავლეს ჭადრაკის შექმნის ისტორია, ფიგურების მოძრაობის წესები. ყოველი გაკვეთილის შესწავლისას პატარები ზღაპრის მხიარული გმირების დახმარებით იმტკიცებენ თეორიულ ცოდნას.

საიუბილეო საღამოზე ნონა გაფრინდაშვილმა სკოლის წარმატებულ სპორტსმენ მოსწავლეებს (**მარიამ ჩაჩუას**, **ქეთევან ვენეცკის**, **მედეა ჩოხელს**, **ანა შანიძეს**, **მეგი ფარულუას**, **ლაშა ბერიძეს**, **ლაშა გურგენიძეს**...) საკუთარი გამოცდილება გაუზიარა და მიზნის მისაღწევად შრომისა და ნებისყოფის გამომუშავება ურჩია.

სკოლის ბიბლიოთეკაში ჭადრაკში ერთდროული თამაშის სეანსი გაიმართა. მსოფლიოს ჩემპიონთან თამაშის პატივი ერგო სკოლის შიდა ჩემპიონატში გამარჯვებულ 10 საუკეთესო მოთამაშეს (**გიორგი ტაბატაძეს**, **ლუკა ხარებავას**, **დავით კოზმანაშვილს**, **ელენე ურიდიას**, **ლიზი ონიანს**, **ნინო ლობჟანიძეს**, **გიორგი ზიბზიბაძეს**, **ნიკა ჯაფარიძეს**, **ლაშა კუნჭულიას**, **ნიკა ლობჟანიძეს**). ჩემპიონის ინიციატივით, ყველა შეხვედრა ყაიმით დასრულდა. სპორტული მიღწევების მქონე XI კლასს (დამრიგებელი – **მარინა ბარძიმაშვილი**) ნონა გაფრინდაშვილის სახელი მიენიჭა.

სკოლის სააქტო დარბაზში, იუბილარის საპატივცემულოდ, საზეიმო ღონისძიება გაიმართა. სკოლის სახელით, ნონა გაფრინდაშვილს დაბადების დღე მიულოცა ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა **გულიკო ბიწაძემ**. მოწვეულ სტუმრებს მოსწავლეებმა ფოტომასალის ჩვენებით გააცნეს და გაახსენეს ნონა გაფრინდაშვილის წარმატებული სპორტული, ასევე პირადი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპები. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებმა წარმოადგინეს კოსტიუმირებული, შესაბამისი თემატიკის მუსიკალური ნომრებით გაფორმებული, საქალაქო ზღაპრების კონკურსში გამარჯვებული თეატრალური დადგმა – „ლეგენდა ჭადარაკის შექმნის შესახებ“. VI-კლასელებმა – **ლიზი ჩიხლაძემ** და **ლიზი ონიანმა** – ისაუბრეს ჭადრაკის შექმნის შესახებ, თუ რა როლს თამაშობდა ჭადრაკი XIX-XX საუკუნეების ქართველი საზოგადო მოღვაწეების ცხოვრებაში. ბოლოს უფროსკლასელებმა (**მარიამ ათანელიშვილმა**, **თამარ ღლონტმა**, **ნუცა მჭედლიშვილმა** და **სალომე ჯავახიშვილმა**), ნონასთან ერთად, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გაიხსენეს ყველა ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც ჩემპიონის ცხოვრებას თან სდევდა.

სკოლის ნორჩ მომღერალთა გუნდმა (ხელმძღვანელი – **ნონა ტარიელაშვილი**) საპატიო სტუმარს საგანგებოდ უმღერა მეგრული ხალხური სიმღერა „მახარია“ და „მრავალჟამიერი“. დიდი მოწონება დაიმსახურა **გოგა ბერიშვილისა** და **ნინო სანაიას** მიერ შესრულებულმა სიმღერებმა. ემოციური იყო სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლის „პატარა ვარსკვლავები“ (ქორეოგრაფი – **მალხაზ ავალიანი**) მიერ შესრულებული ქართული ხალხური ცეკვა „მთიულური“.

სკოლის დირექტორმა **ელენე შაბურიშვილმა** კიდევ ერთხელ აღნიშნა საპატიო კურსდამთავრებულის, ჭადრაკში მსოფლიოს 5-გზის ჩენპიონის, ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილის წარმატებების როლი და მნიშვნელობა ერის, ქვეყნისა და სკოლის წინაშე. კოლექტივის სახელით, მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის და გადასცა სიმბოლური საჩუქარი – „მართალი ნონას“ სახელობის ხატი.

საპატიო სტუმარი მოიხიბლა მონაწილე მოსწავლეთა ნიჭიერებითა და შემოქმედებით და სკოლის შთაბეჭდილებების წიგნში დატოვებული ჩანაწერით წარმატება უსურვა მშობლიურ სკოლას.

ღონისძიება მიჰყავდათ XI-კლასელებს – **ნიკა კობერიძესა** და **ეკა გიგაურს**.

მეგი ესეგუა
ჭადრაკის პედაგოგი, ფიდეს ოსტატი

თვალსაზრისი

მასწავლებელთა მასწავლებელი

„კაზუსები“ მასწავლებელთა და მშობელთათვის რევაზ ინანიშვილის შემოქმედებიდან

აღზრდა-განათლების მრავალწახნაგოვან სისტემაში მასწავლებლის, მოსწავლისა და მშობლის ჯანსაღ თანამშრომლობით ურთიერთობას განსაკუთრებული როლი აკისრია მოზარდის სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბებისათვის, რამეთუ ბავშვის ფსიქიკა უაღრესად სათუთი და მყიფეა. ამ ურთიერთობებში დაშვებულმა შეცდომამ, შესაძლებელია, გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს. ამიტომაც, მოზარდთან ურთიერთობაში კარგად „აწონილი“ და გააზრებული მიდგომებია საჭირო.

საბედნიეროდ, პედაგოგიურ პრაქტიკაში უხვად მოიპოვება რეალური მაგალითები, საიდანაც კარგად ამოიცნობა მასწავლებლისა და მოსწავლის, მშობლებისა და შვილების საინტერესო თანამშრომლობა თავისი პოზიტივით თუ ნეგატივით, რომლებიც გამოდგება დაკვირვებებისა და სათანადო დასკვნების გამოტანისათვის.

თუ ქართულ მწერლობას მოვჩხრეკთ, აქაც აუცილებლად წავაწყდებით მასწავლებლისა და მშობლისათვის საჭირო „კაზუსებს“, რომლებიც დააფიქრებს, საკუთარ თავს შეაცნობინებს და აიძულებს მოზარდის გარშემო მყოფ ადამიანებს, კრიტიკული თვალით შეხედონ საკუთარ თავს იმ ადამიანებმა, რომლებსაც სკოლასა თუ ოჯახში აღზრდის უძნელესი საქმე აკისრიათ.

ამ ადამიანებმა თვითშეფასებისათვის უნდა უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

„სწორად მოვიქეცი თუ არა მოზარდის წინაშე?

ხომ არ დავუშვი შეცდომა მასთან ურთიერთობაში?

ნაპრალი უფსკრულად ხომ არ ვაქციე?

ჩემი ქმედებით მოზარდისადმი „გაუცხოვება” მოვიპოვე, თუ– მისი ნდობა და სიყვარული?..“

ამ კითხვებზე დაფიქრება მანამ მოგვიწევს, სანამ მოზარდთან ურთიერთობაში პრობლემებს პირდაპირ შევეჩეხებოდეთ. ასჯერ გაზომილი და აწონილი მიდგომების მოხმობა დაგვჭირდება მათთან ურთიერთობებში.

დიახ, მოვჩხრიკოთ ქართული მწერლობა და შევჩერდეთ დიდი ქართველი მწერლის, **რევაზ ინანიშვილის** შემოქმედებაზე. გულდასმით წავიკითხოთ მისი ნოველები: **„შორი თეთრი მწვერვალი“, „დამრიგებელი“, „ჩიტების გამომზამთრებელი“.** ეს ნაწარმოებები ბევრ კითხვაზე გასცემს პასუხს და ერთგვარ „გზამკვლევებადაც“ გამოგვადგება მოზარდებთან ურთიერთობაში როგორც მასწავლებლებს, ასევე მშობლებსაც.

„შორი თეთრი მწვერვალი“

ნოველის შინაარსი ასეთია:

სექტემბრის ცხელი დღეა.. ქალაქს ბუღი ასდის. საზაფხულო არდადეგები ახალი დასრულებულია... მოსწავლე შინდელაშვილის გონება ისევ სოფელშია ჩარჩენილი. მასწავლებელი კლასში ადგილის გარემოებას ხსნის. ბიჭი კი ზის გაკვეთილზე, მაგრამ ვერ შელევია სოფლის სანახებს და ფიქრებით ბილიკებს მიუყვება, ხედავს რუში მორაკრაკე მომწვანო წყალს, ახლა არყის ხდაა და წყალსაც ცოტა ღვინისფერი დაჰკრავს.

ბიჭი ახლა, გაკვეთილზე, გრძნობს ღვინისა და წენგოს სურნელს; ხედავს ტალახიან ორღობეს, გადაშლილ სივრცეებს, რიყეში ჩაკარგულ იორს, გორაზე – უჯარმას, ნახნავებს, ტყეების უკან თეთრ, ლამაზ მწვერვალს ხედავს, ზამთარ-ზაფხულ სულ თეთრს, ხან ლეგა ღრუბელი რომ წამოადგება თავს, ხანაც მზე რომ მოავარაყებს ოქროსფრად. ამას ყველაფერს გაჰყურებს გულისცემით ბიჭი...

უცებ გამოერკვა... ***მთელი კლასი მას მისჩერებოდა დამცინავი ღიმილით.***

...და უცებ, მასწავლებელი თავს დააცხრა:

– არ გესმის, შინდელაშვილო?!.. გაიმეორე, რას ეწოდება ადგილის გარემოება?

ბიჭი წამოდგა, ხელები მერხის კალთებს ქვეშ ამოაწყო, თვალებში ისევ გაურკვევლობის ბურუსი ედგა...

– ვაი, შენს პატრონს, უბედურს, ჰგონია, სკოლაში გამოგგზავნა შენცა!.. – ზიზღით თქვა მასწავლებელმა. მაგიდიდან ბლოკნოტი აიღო და წითელი კალმით რაღაც ჩაინიშნა.

– გაიკარ ორიანი, ბიჯო? – კახურ კილოზე გამოსძახა უკანა მერხიდან დიდმა ბიჭმა.

კლასი ახარხარდა.

– რა ამბავია! – იყვირა მასწავლებელმა.

შინდელაშვილი დაჯდა. თავი ჩაღუნა და ქვედა ტუჩს კვნეტა დაუწყო. მის გვერდით მჯდომმა გოგონამ შეამჩნია, რომ წვრილი, შავყვითელა თითები საბრალობლადუკანკალებდა.

ქუჩაში ტრამვაის ბიგელმა კაშკაშა, ბრაზიანი ცეცხლი გაუჩინა მავთულს...

პრობლემა თვალსაჩინოა, რომელიც მასწავლებელმა თავად შექმნა თავისი უტაქტობით. მან საერთოდ არ ისურვა, გაერკვია მოსწავლის უყურადღებობის მიზეზი და ბავშვის ფაქიზი ფსიქიკა შეურაცხყო. მოსწავლეებიც დამცინავი მზერითა და ხარხარით „შეასია“ მეოცნებე ბიჭს... მძიმე დარტყმა და სტრესი მიაყენა სოფლის სანახებზე შეყვარებულ ბიჭს...

ისმის კითხვა: – **რატომ იყო ბიჭის ფერადოვან, ხატოვან ფიქრებზე უკეთესი გრამატიკული კატეგორია, თუნდაც, ადგილის გარემოება?..**

სამწუხროდ, მასწავლებელმა ვერ შეძლო ბავშვის ფიქრების ამოცნობა და მძიმე ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენა მას, კლასის დაცინვის ობიექტიც გახადა... გააჩინა უზომოდ ღრმა და ამოუვსებელი ნაპრალი მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობაში.

როგორ უნდა მოქცეულიყო მასწავლებელი?

ბიჭთან, რომელსაც უყურადღებობა შეამჩნია მასწავლებელმა, სხვებისაგან შეუმჩნევლად, ყოველგვარი „თავდასხმის“, გაწიწმატებისა და ლანძღვის გარეშე, უნდა მისულიყო პედაგოგი, თანადგომითა და სიყვარულით მხარზე ხელი დაედო და ეთქვა:

– გეტყობა, ფიქრებით სადღაც შორსა ხარ, ჩემო კარგო... არ შეგიძლია მოისმინო გაკვეთილის ახსნა?

თუ მოსწავლე ისევ უყურადღებობის მორევში ჩაიძირებოდა, გაკვეთილის შემდეგ შეეძლო ეკითხა ბიჭისთვის გონებაგაფანტულობის მიზეზი. დიდი ალბათობით, ბავშვი „გაუტყდებოდა“, იქნებ ამ „ფერადი ფიქრების“ – სოფლის პეიზაჟის დაწერაც ეთხოვა მასწავლებელს მისთვის და, როცა ნაწერს გაეცნობოდა, შეექო კიდეც ბიჭის ნააზრევი. მერე შეიძლებოდა ისიც დაემატებინა, რომ თუ გრამატიკის გაკვეთილებსაც ყურადღებით მოისმენდა, ნაკლებ შეცდომებს დაუშვებდა და მისი ასეთი „სურათოვანი ფანტაზია“ მკითხველის დიდ მონონებას დაიმსახურებდა.

სწორედ ამ გზით გაიდებოდა ნდობის, სიყვარულისა და პატივისცემის ხიდი „უყურადღებო“ მოსწავლესა და უტაქტო მასწავლებელს შორის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მასწავლებელი ვალდებულია, შეიმუშაოს სწორი მიდგომები და სტრატეგია მოსწავლეებთან ურთიერთობისათვის.

თავად მწერალმა, რევაზ ინანიშვილმა, როგორც ჩანს, კარგად იცოდა სწავლა-აღზრდის ეს პრობლემები. ამიტომას თავისი მშვენიერი ნაწარმოებების წყალობით შექმნა დამაჯერებელი სიტუაციები მასწავლებელთა შეცდომების გამოსასწორებლად, მოზარდი თაობის სათუთი გულისა და ფაქიზი სულის გაფრთხილებისათვის.

„დამრიგებელი“

რევაზ ინანიშვილის ნოველა „დამრიგებელი“ ბევრ საყურადღებო დეტალს მოიცავს მასწავლებლის, მოსწავლისა და მშობლის ურთიერთობების შესახებ. ეს ნაწარმოები კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ მოზარდის ფსიქიკა სათუთია, რომ მასზე გავლენას ახდენს გარემო ფაქტორები, შემთხვევითი სიტუაციები, ადამიანთა დამოკიდებულებები და სხვა ფაქტორები, რომლებსაც, სამწუხაროდ, უფროსები ხშირად ანგარიშს არ უწევენ და პრობლემებიც ამ მიზეზით ღრმავდება.

ნოველა იწყება მასწავლებლის – დამრიგებლის გაცნობით, იგი იყო თეთრსაყელოიანი, ტანსწორი, ფერმკრთალი, თითქოს გაჩერებული შავი თვალებით. შედის გაკვეთილზე მაშინ, როცა ბავშვები ფანჯრიდან უცქერენ ფერდობზე აგნიასებული ძაღლების ხროვას, მასწავლებელიც გაიხედავს ფანჯრიდან და თითქოს არაფერი დაუნახავს (სწორადაც იქცევა), იწყებს გაკვეთილს: იძახებს ოთხ მოსწავლეს. სამს „ორიანს” უწერს, ერთს – „სამიანს“. გოგონა, რომელმაც „სამიანი“ დაიმსახურა, ხუთოსანია, მოწესრიგებული, კარგი ოჯახიშვილი, ბეჯითი... გოგონა ცრემლებს ყრის.

მასწავლებელი თავის პოზიციას „ამაგრებს“ და ეუბნება: ***„ტირილი კი არა, სწავლაა საჭირო“...*** ბავშვი ტირილს უმატებს, ზლუქუნებს... დამრიგებელი უახლოვდება, ხელს ჰკიდებს გოგონას, დერეფანში გაჰყავს სიტყვებით: ***„ტირილს რომ მორჩები, მერე შემოდიო“.*** მთხრობელი შენიშნავს: ***„გოგო სულ აღარ შემოსულაო“.***

აქ შევჩერდეთ და გავაანალიზოთ მასწავლებლის ქმედება:

პრობლემა გაჩნდა, რომლის შემოქმედი, სამწუხაროდ, თავად დამრიგებელია... გულისხმიერების დეფიციტი და არასწორი მიდგომა თვალსაჩინოა დამრიგებლის მხრიდან.

სწორედ ამაში მდგომარეობს პრობლემა, სად დააშავა მასწავლებელმა?

დეტალებში განვიხილოთ ინციდენტი: გოგონა, რომელსაც მასწავლებელი ასე უტაქტოდ „გაუმასპინძლდა“, ბეჯითია, ფრიადოსანია, თანაც ემოციური და არცთუ არაადეკვატური ემოციების მფლობელი. განა შეიძლება ასე დააცხრე თავს ბეჯით, მოწესრიგებულ მოსწავლეს გაკვეთილზე?

მასწავლებელს უნდა ეპატიებინა არცოდნა, იმის გათვალისწინებით, რომ იქნებ რაიმე მიზეზი არსებობდა, რომ გოგონამ სათანადოდ ვერ მოამზადა საგაკვეთილო მასალა. ბავშვის გარეთ გაშვებით მასწავლებელმა ბზარი უფსკრულად აქცია... ამ უტაქტო ქმედებით შეიძლება „დაკარგა“ კიდეც გოგონა, რადგან გაჩნდა გაუცხოება ბავშვსა და დამრიგებელს შორის... სადაა ემპათია, მიმტევებლობა, გოგონას ფსიქოლოგიური მდგომარეობის ამოცნობის მცდელობა... ყოველივე ეს მასწავლებლის ვალდებულება გახლდათ.

ამ დამრიგებელზე საბოლოო წარმოდგენა შეგვექმნებოდა რომ არა ნოველის მეორე ნაწილი, რომელშიც სხვა მოსწავლესთან, სხვა სიტუაციაში იგივე მასწავლებელი სულ სხვაგვარად არ გვეხილა. ***„დღეიდან ბინებში ჩამოვლას ვიწყებ, თქვენი ოჯახური პირობები უნდა შევამოწმო,“*** – განაცხადა კლასში დამრიგებელმა, ამ დღიდან მოსვენება დაკარგა ბიჭმა, რომელიც უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა. რვა კვადრატულ ოთახში შეხიზნულიყო მთელი ოჯახი, ბებია მიწურ იატაკზე იძინებდა, როცა განვიმდებოდა, მაგიდაზე აწყობდა ქვეშაგებს და იქ წვებოდა. მიუხედავად ამისა, სრული ოჯახური იდილია სუფევდა. ბიჭი ბეჯითად სწავლობდა.

დედა სამუშაოზე დადიოდა, თავ-თავისი ულუფა – ხშირად ლობიოს წვნიანი ან უხორცო სუპი და შავი პური – ჰყოფნიდათ. აქ არავინ ჩხუბობდა, ან ამას რატომ არ ჭამ, ან გაკვეთილებს რატომ არ ამზადებო... მაგრამ მას შემდეგ, რაც დამრიგებელმა კლასს განუცხადა, რომ მოსწავლეებს შინ ეწვეოდა, დაიწყო ბიჭის ფსიქიკის რღვევა, წელმოწყვეტილი დაბრუნდა შინ. უგემურად, გაღიზიანებულმა ისადილა, წავიდა და დაიკარგა.

ბიჭის განცდებს მწერალი პირველ პირში გადმოგვცემს. თხრობის ეს ფორმა ბავშვის ემოციურ ფონს უფრო მძაფრად წარმოაჩენს და მკითხველისათვის მეტად გასაგებს *ხდის:* ***„წავედი, დავიკარგე, ხუდადოვის ტყის პირას ავბორიალდი... სანამ კარგად არ დაღამდა, ქვემოთ აღარ გადამიხედავს, – არ მინდოდა დამრიგებელს შინ დავხვედროდი“...***

ასე გრძელდებოდა დიდხანს... მასწავლებელი ბიჭის ოჯახს მაშინ ეწვია, როცა თავად შინ არ იყო... ***„დამსხდარან ბებია და დამრიგებელი, კარგახანს ულაპარაკიათ. მე რომ დავბრუნდი, დამრიგებელი ახალი წასული იყო. ბებიამ შვებამიცემულმა მითხრა, – მოვახსენე, როგორც საჭირო იყო, შენს დამრიგებელს ყველაფერიო. მე არც ამაზე ამომილია ხმა... ადრე დავწექი, იმ ღამეს სამჯერ გამეღვიძა, მამლების ყივილი მესმოდა, მკერდში სულ რაღაც მწიწკნიდა.“***

მეორე დღეს თავს ვეღარ ვწევდი გაკვეთილებზე. დამრიგებელი რომ შემოვიდა, მაშინ ხომ მინდოდა მიწაში ჩავმძვრალიყავი, თითქოს კიდეც მციოდა, მაკანკალებდა. გაიძახა სხვები, თან იმათ უსმენდა, მე სამჯერ ამიარა გვერდი. ერთხელ შეჩერდა, თავი ამაწევინა და თითქმის ჩურჩულით მითხრა, ასწიე თავი, შენ ძალიან კარგი ბებია გყავსო...“

აი, ეს ქმედება მასწავლებლის მხრიდან სწორია. მან „უწამლა“ ბავშვის ნატკენ სულს... უკვე გაიბა კეთილგანწყობის ძაფი დამრიგებელსა და მოსწავლეს შორის, კომპლექსებითა და არასრულფასოვნების მტანჯველი განცდებით სულნატკენ ბიჭს ისევ მასწავლებლის სწორმა ტაქტიკამ „უშველა“, მაგრამ კიდევ მოხდა რაღაც, რამაც ბიჭი მტანჯველი განცდებიდან საბოლოოდ იხსნა. რა იყო ეს?

ორი დღის შემდეგ მასწავლებელმა ბიჭს ნავთით სავსე ბიდონი თავის სახლში გაატანა. ***„შემოდი, შემოდიო, – დამრიგებლის დედამ თითქმის ძალით შემიყვანა შინ. ორი ვაშლი მომცა. მე სულ თავჩაღუნული ვიდექი, მაგრამ მაინც მივხვდი, რომ მათი ოთახი ჩემს ოთახზე უფრო პატარა იყო, მაღალი, მაგრამ პატარა...***

წამოვედი, ვაშლის ჭამა არ მინდოდა. მერე მაინც ფრთხილად ჩავკბიჩე. თავს ვიკავებდი, მაგრამ ერთი მწარე ცრემლი მაინც მოვიწმინდე მაჯით...

იმ დღიდან დამრიგებელი ძალიან შემიყვარდა. ვატყობდი, იმასაც ვუყვარდი“.

რა მოხდა ბავშვის ფსიქიკაში?

ბიჭს ის კი არ გაუხარდა, რომ მასწავლებლის სიღარიბე „აღმოაჩინა“, არამედ მან შეიგრძნო, რომ ადამიანური ღირსება და სიღარიბე სრულიადაც არ არის ერთმანეთის პროპორციული, რომ ასეთ სოციალურ პირობებშიც შეიძლება ცხოვრობდეს სრულფასოვანი ადამიანი, რომელსაც არ უნდა სტანჯავდეს არასრულფასოვნების განცდა, რომ სიღარიბე სრულიადაც არ არის სირცხვილი... ამას დაემატა მასწავლებლის კეთილგანწყობითი დამოკიდებულება ბიჭისადმი და აფორიაქებული სული დაუწყნარდა... თუ „**მასწავლებელი მოსწავლის „სულის ინჟინერია“,** მაშინ მას ბავშვის ჯანსაღი სულის „საშენებლად“ „საშენი მასალაც“ უნდა ჰქონდეს... ეს „საშენი მასალა“ არის სწორი მიდგომები, რომელიც მასწავლებელს მოსწავლისათვის მომარჯვებული უნდა ჰქონდეს და საჭირო დროს, საჭირო სიტუაციაში გამოიყენოს.

რევაზ ინანიშვილის „დამრიგებლის“ მთავარი სათქმელიც სწორედ ესაა...

„ჩიტების გამომზამთრებელი“

მოზარდის სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბებაში არა მარტო მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობაა მეტად ფაქიზი და მნიშვნელოვანი ფაქტორი, არამედ მშობლების შვილებისადმი დამოკიდებულებასაც სჭირდება სწორი მიმართულება, რამეთუ მოზარდის მეტად მგრძნობიარე სამყარო მშობლების დახვეწილ მიდგომებს ითხოვს, რათა არ დამახინჯდეს მიდი სული. ჩვენ, სკოლაც და ოჯახიც, ერთობლივად ვემსახურებით ღირსეული თაობების აღზრდას. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ორივე სფერო სწორი მიდგომებითა და დამოკიდებულებებით თანაბრად უნდა ზრუნავდეს სულიერად და ზნეობრივად ჯანსაღი თაობის აღზრდაზე.

ნიჭიერი ქართველი მწერალი რევაზ ინანიშვილი ამ პრობლემებზეც დაფიქრებულა და ამიტომაც შეუქმნია შესანიშნავი ნოველა „ჩიტების გამომზამთრებელი.“

ნაწარმოების დასაწყისში ვხვდებით, რომ ოჯახში, ერთი შეხედვით, ყველაფერი წესრიგშია: პრიალებს პარკეტი, შემოსასვლელთან ფლოსტები აწყვია, სადილის გემრიელი სუნიც დგას, დედა საშინლად გაღიზიანებულია, სკოლიდან გულგახეთქილია მოსული. ვაჟიშვილისთვის მამას რეიტუზი უყიდია... გაანჩხლებული დედა კაპასობს:

„– ვის უყიდე, ვის,! მაგ დებილს, არანორმალურს? გგონია, რომ ესწრება ფიზკულტურას?... გააცდინე სამსახური და ნახე, სად დადის ეგ შენი დეგენერატი ვაჟიშვილი, რას სწავლობს, ან, საერთოდ, თუ აკეთებს რამეს... რა ჭირზე ფიქრობს, გამოლენჩებული რომ ზის გაკვეთილზე. ჩადი, ბატონო, და გაიგე, რას ამბობენ მასწავლებლები...საკონტროლოებში ორები, გეომეტრიაში ზედიზედ სამი ორი, ქიმიაში ორი, ქართული როა, ქართულშიც კი ორი აქვს მიღებული... შემიყვანეს, როგორც უკანასკნელი დებილი, დამაჭერინეს კალამი, მომიკიდეს ზედ ხელი და ისე დამაწერინეს ხელწერილი: ერთი ორიანიც რომ მიიღოს კიდევ, პროფსასწავლებელში უნდა გადავიყვანოთო“...

ამ ოჯახურ დიალოგში ჩანს, რომ დედა მძაფრი ემოციით განიცდის შვილის წარუმატებლობას, ადანაშაულებს მამას და სთხოვს, აქტიურად ჩაერიოს შვილის აღზრდაში. მამას მიაჩნია, რომ საჭირო არაა ყველას თეთრი ხელები ჰქონდეს და თეთრი ტელეფონი ეჭიროს. თუ მამის პოზიციას გავაანალიზებთ, უნდა ვთქვათ, რომ ეს კაცი მართალს ამბობს, რეალურად მსჯელობს, მაგრამ დედა იმას შეეგუება, რომ შვილი წარუმატებელი იყოს? არა, მოკვდება ქალი!.. ამიტომაც ისტერიულად განიცდის შვი-

თვალსაზრისი

ლის მდგომარეობას და ქმარს კაპასად სთხოვს, ჩაერიოს უმსგავსო შვილის მორჯულებაში.

„– რა ვქნა, რა გავაკეთო, როგორ მოვიქცე, რით დავიწყო? – ამბობს გაანჩხლებული ცოლით თავმობეზრებული ქმარი.

„– შიში ჩაუნერგე ბავშვებს, შიში, რომ, რაც გასაკეთებელი აქვთ, გააკეთონ, თუ არ გააკეთებენ...”

„გაიღება კარი. შემოდის გაღიმებული თხუთმეტი წლის ბიჭი. მაღალია, წვრილი, მხრებში მოხრილი... გაბერილი ქაღალდის პარკი უკავია მკერდთან. მთელი სხეულით მოაქვს გასახარი ამბავი. დიდხანს იწმენდს ფეხებს.

– ფანჯრები დაკეტილია? – კითხულობს. – ჩიტბატონები ვიყიდე, მთლად იაფად, გამოვაზამთრებ და გაზაფხულზე გავუშვებ...

პარკს პირს მოხსნის და ჩიტებს ამოაფრენს... ისინი ფრთხიალებენ ოთახში, ბიჭი ქვემოდან შესცქერის და ბედნიერებით უბრწყინავს სახე...

ქალი წამოვარდება, საკუჭნაოდან იატაკის საწმენდ ჯოხს შემოიტანს და ჩიტებს გამოედევნება.

ბიჭი: *– არ დაარტყა, არ დაარტყა!..*

ქალი: *– გამეცალე, თორემ შენ გაგიხეთქავ თავს!..*

ბიჭი: *– მამა, არ დაარტყას, მამა!*

მამაკაცი ჭამს... თეფშს დაჰყურებს...

ქალი ერთ ჩიტს მისწვდება და კედელზე მიაჩეჩქვავს, დასდევს მეორე ჩიტსაც

ბიჭი: *– დედა!... მამა!... დედა!...*

ქალი: *– გამეცალე!..*

ქალი მეორე ჩიტსაც მისწვდა და აჭყივლებული მისრისა კუთხეში

ბიჭი: *– კარგი, დედა!..*

დიდი საბრალობელი თვალები ცრემლებით აქვს სავსე. მიდის, ჯერ, ერთ ჩიტს აიღებს უმწეო ფრთით, მერე – მეორეს. დგას ჩიტებით ხელში, თითქოსდა ფეხებდაუძლურებული. მერე უცნაური ლაყუნით მიდის, სანაგვე ყუთში ყრის...

ბიჭი: *– კარგით!.. კარგით!..*

ფერდაკარგული ქალი იატაკის საწმენდ ჯოხს საკუჭნაოში შეიტანს და კარს ღონივრად გამოხურავს. მამაკაცი ხმას არ იღებს...

ბიჭი: – *კარგით! კარგით!..*

მამაკაცი; – *თუ არავინ გავალებს, არც ჩიტების გამოზამთრებაა საჭირო, თუ არავინ გავალებს!..*

ბიჭი: *კარგით!.. კარგით!..“*

ყველაფერი ნათელია. **მშობლები არ იცნობენ თავიანთ შვილს...** ბიჭი მარტოა საკუთარი მშობლების წინაშე, მათ არ ესმით მისი... ამაოდ ეძებს შეშფოთებული სახით თანაგრძნობას საკუთარ ოჯახში, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ უპოვია იგი...

როგორ შეიძლება ცუდი იყოს მოზარდი, რომელმაც სახლში მოიყვანა გამოსაზამთრებლად ჩიტბატონები... ასეთი ბავშვი ხომ კეთილია, უყვარს ბუნების შვილები და სასიკეთო საქმის ჩადენა სურს, მაგრამ ვინაა დამნახავი... როგორც ჩანს, მას არც სკოლაში იცნობენ, ვერსად ვერავინ უგებს...

ასე მარტო დარჩენილი მოზარდი, შესაძლებელია, ქუჩამ მიიტაცოს.. მშობლებთანაც გაუცხოვდეს,.. თუმცა მშობლები, კარგა ხანია, როგორც ჩანს, განზე დგანან შვილისაგან...

ბიჭი, რომელსაც ასეთი ფაქიზი და სათნო სულიერი სამყარო აქვს, მშობელმაც უნდა შეიცნოს და მასწავლებლებმაც... ამაშია პრობლემა. გარდნერის მრავალმხრივი განვითარების თეორიის გათვალისწინებით, ბიჭის ინტერესის სფერო – ცოცხალი ბუნების სიყვარული, იგნორირებულია ყველასაგან. მიუხედავად ამისა, ის მაინც მიმტევებელია... თავად ამშვიდებს გამხეცებულ დედას და გულგრილ მამას იმ სისასტიკის შემდეგ, რაც დედამ ჩაიდინა. ბიჭს ჩაუქრეს სიხარულით გაბრწყინებული თვალები, მისი კეთილშობილი სურვილი, გამოეზამთრებინა ჩიტბატონები, უხეშად ჩაკლეს. ამიტომაც, სრულიადაც არაა გასაკვირი, რომ ამ ბავშვს სწავლაზე გული აეცრუებინა, სავარაუდოდ, ალბათ არსებობდა ბიჭის ცხოვრებაში ისეთი ფსიქოლოგიური სტრესები, რომელსაც ვერასოდეს ვერავინ „უწამლა“ , ვერც ოჯახში და ვერც სკოლაში... გარემოსთან, რომელშიც იგი ცხოვრობს, გაუცხოვებულია ბიჭი. მან არ იცის თანადგომა და გულთბილი დამოკიდებულებები... სწორედ ესაა პრობლემის ანი და ჰოე!..

ამ პრობლემების მიზეზშედეგობრივი კავშირების ამოცნობა, მისი პრევენციის გზების ძიება და სწორი მიდგომებია სააღმზრდელო სისტემის მთავარი საქმე. სწორედ ამაზე მიგვანიშნებს მწერალი რევაზ ინანიშვილი თავის ნოველებით.

დიდი მოაზროვნე შარლ მონტესკიე ხომ ბრძანებდა: „მთავარი ის კი არაა, იკითხო, მთავარია იფიქრო“. სწორედ ბევრ საფიქრალს გვიტოვებს ეს ნოველები მასწავლებლებს, მშობლებს... ამიტომაც გვევლინება იგი მოძღვრად, მოზარდი თაობის ქომაგად და თავისი შემოქმედებით მიგვანიშნებს უზენაეს ჭეშმარიტებაზე: „ისე აღზარდე შენ შვილის სული, რომ წინ წარუძღვეს ჭეშმარიტება, უკან ჰრჩეს კვალი განათებული!..“ (ილია)

მარინე არაბიძე-აშვეთია
სსიპ წმინდა ნინოს სახელობის ქუთაისის №3 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

საუბრები ლიტერატურაზე

რამდენიმე სახისმეტყველებითი ასპექტი „ვეფხისტყაოსნიდან“

სახეებით აზროვნება და სიტყვით გამოსახული ხატი მარად ძიების საფუძველია. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სახეების გასახსნელად მრავალი ჰიპოთეზა არსებობს: იდეა იძებნება სახელში, ქმედებაში, სიუჟეტში. ნეოპლატონიზმისა და არეოპაგეტიკულ მოძღვრებათა დედა იდეა – სიკეთის უზენაესობა – რუსთაველმა მთელი სიცხადით გაამჟღავნა.

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს“ (1500,ა, გვ-471) ბრძანებს რუსთაველი. რა დაფარული საქმე იგულისხმება დიონისესთან მიმართებით? *„თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და დედამიწა, დედამიწა იყო უფორმო და უდაბური“* (დაბ,1.1-2,გვ 9) – ასე იწყება ბიბლია და პირდაპირ გრძელდება მყარის მოწესრიგების თანმიმდევრული თხრობა. ბიბლიაში ზეციურ სამყაროზე არაფერია ნათქვამი. ესაა დაფარული საქმე, რომელიც კაცობრიობას წმ. დიონისე არეოპაგელის საშუალებით გამოუცხადა უფალმა. წმ.მამამ, დიონისე არეოპაგელმა, რომელიც პავლე მოციქულის მონაფე იყო, თავის შრომაში დაწვრილებით აღწერა ანგელოზთა ზეციური სამკვიდრო (წყარო: ჟურნალი „ცისა კარი“) რა შეიძლება გაგვიცხადოს დიონისემ „ვეფხისტყაოსანში“? ხომ არაა საფიქრებელი ანგელოზთა პერსონიფიკაცია? ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას ასმათი იქცევს, რომელიც ხორციელი არსებისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს ნაკლებად ავლენს. მას არ გააჩნია პირადი ცხოვრება, თავისუფალია მატერიალური დამოკიდებულებებისაგან. ანგელოზებრივ ნიშანთაგან ასმათს აქვს სამი სახასიათო შტრიხი: 1) იგი განსაცდელში მყოფთანაა, 2) მუდამ ტირილსა და მწუხარებაშია, როდესაც ტარიელი ავლენს სულიერ სისუსტეს, 3) იგი არასოდეს ტოვებს ტარიელს, ტარიელი მიატოვებს ხოლმე მას. ასმათი ტარიელთან უნესტანობის პერიოდშია, ქვაბში ყოფნისას, რაც სიმბოლოა სულიერი წრთობისა, განწმენდისა. უფალი ბრძანებს *„ცეცხლში გავატარებ...და განვწმენდ მათ, როგორც ვერცხლს, და შევამოწმებ, როგორც ოქროს“* (ზაქ.13.9,გვ.1267). სწორედ ასეთ საუფლო წმენდის, ცეცხლში გავლის ჟამია ტარიელისთვის გამოქვაბული.

ასმათის მუდმივად თანხლება ტარიელთან, მისი ტირილი და მწუხარება ტარიელის უნიათობის ჟამს, მისგან *„არ დაგდება“* განსაცდელში მყოფისა, მიემართება ანგელოზებრივ თვისებებს და ანგელოზის ქმედება-ფუნქციასთან ჰპოვებს პარალელს. ცათა რომელი მკვიდრის პერსონიფიკაცია შეიძლება იყოს ასმათი? წმ.დიონისეს მიერ აღწერილ ცხრა მთავარანგელოზიდან ასმათს შეესაბამება რაფაელი: *„რაფაელი – „ნიშნავს ღვთის შეწევნას“. წმიდა მთავარანგელოზი რაფაელი მძიმე განსაცდელების ჟამს ეხმარება ყველას, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა სასიკვდილო სენით იტანჯება ადამიანი. ამიტომ გამოისახება იგი ხატზე თასით ხელში. ეს მთავარანგელოზი მოგზაურთა მფარველიცაა და სასოწარკვეთილებსაც დიდ ნუგეშს აძლევს“* („ცისა კარი“), მძიმე განსაცდელი, სახლიდან შორს ყოფნა, თავის თავის ხშირად დაკარგვა, სასოწარკვეთილება – ტარიელის მახასიათებელი მოვლენებია. აქ ასმათი ზუსტად იმ ფუნქციას ასრულებს, რაც რაფაელ მთავარანგელოზთან პირდაპირ კავშირშია. რატომაა იგი ქალის სახით მოცემული? ხატებზე ანგელოზები მამაკაცის სხეულით გამოისახებიან, თუმცა ეს სიმბოლურია. ისინი არიან უსხეულო, უხორცო, უსქესო არსებები. ამიტომ დასაშვებია იგი ქალის სახით გამოესახა ავტორს. *„ასმათ* (არაბულად) *– უმწიკვლო, უმანკო“* (წყარო: icode.ge.2010/05/04, ქალის სახელების ახსნა) ეს ნიშანიც შეიძლება იყოს მითითება ასმათის არამატერიალური ბუნებისაკენ.

უნესტანობისას „არ დააგდებს“, მაგრამ ნესტანის მოპოვებაში ვერ ეხმარება ასმათი ტარიელს. აქ საჭიროა „სხვა ძალა“, ეს კი ავთანდილია, რომელიც, ასევე, ასმათის შემწეობით მიიღო ტარიელმა. ტარიელი დევებისეულ გამოქვაბულშია, აქ არის საჭურჭლე და „აბჯარი საკვირველი“, რომელიც ტარიელისთვის დახშულია, დაკეტილია ორმოცი კარით, ამ კლიტეების გაღება ავთანდილის გარეშე არ ხდება (1374,დ; გვ-426), საჭურჭლე და „აბჯარი საკვირველი“ სიმბოლოა გონებაზე ხელმწიფებისა, თავის უფლებისა, საკუთარი თავის თანხლების ნება, ადამიანის უმაღლესი მონაპოვარი, რომელიც წრთობითა და ცეცხლში გადადუღებით მიიღწევა და რის შემდეგაც შესაძლებელი ხდება საღვთო სიბრძნისა და სულიწმიდის შეცნობა, ადამიანის სულიერი თვალის ახელა. მოციქულთაგან პეტრეს აქვს ხელმწიფება ცათა სასუფევლის კლიტეებზე: *„და მოგცემ შენ ცათა სასუფევლის გასაღებს და რასაც შეკრავ დედამიწაზე, შეკრული იქნება ცაში, ხოლო რასაც დახსნი, დახსნილი იქნება ცაშიც“* (მათე,16.19). პეტრეა პირველი, რომელიც ამოარჩია იესომ ადამიანებთან მისი მცნებების მისატანად, მას შეუბერა სული, რომელიც ადამიანთა მოდგმაზე უნდა გავრცელებულიყო. პეტრემ მიიღო ხელდასხმა ქრისტესგან და მიიღო პირობა (ბეჭედი) იმისა, რომ მოციქულთა მსგავსად ყველას შეეძლო მიეღო უფალი (იესო ამ პირობას გამოხატავს სიტყვებით *„შეთანხმების სისხლი“*). პეტრე, მოციქულთა შორის, ყველაზე მეტად ავლენს გამჭრიახობას და ადამიანურ მხარეს, რაც ასევე მსგავსებას პოვებს ავთანდილის თვისებებთან. პეტრე მოციქული, ანგელოზთაგან განსხვავებით, ხორციელად იშვა, მაგრამ მან მიიღო უფალთან ყოფნის მადლი. რით გამოიხატება ეს „ვეფხისტყაოსანში“? ნესტანიცა და თინათინიც სიმბოლურად სწორედ ამ სულიერ, საღვთო თვალს გამოხატავენ, რაც მათი ნათელობით, მზეობით დასტურდება. ქრისტიანულ ლიტერატურაში ადამიანის სულიერ წმენდასა და საღვთო სიბრძნის მიღებას სიმბოლურად გამოხატავს ქორწინება, როგორც უფალთან შეერთება. ნესტანი უგვირგვინოა, რადგან ის ჯერ არაა მოპოვებული, დამსახურებული, ტარიელისაგან, ხოლო თინათინი გვირგვინ დადგმულია, რაც მისი მიმღების – ავთანდილის სულიერ სიმაღლეზე უნდა მიანიშნებდეს.

ავთანდილსა და პეტრე მოციქულს შორის პარალელების შესახებ ჰიპოთეზას ამყარებს ფატმანის ეპიზოდი, სადაც რამდენიმე საგულისხმო ასპექტი იკვეთება:

1. ფატმანი ნებსით სცოდავს, წინასწარგანზრახულად, რასაც წინ უძღვის ყოყმანი, შიში, რადგან მან იცის, რომ *„ყმა ვინმე, კეკლუცი, ტან ნაკვთიანი“* (1108,ბ; გვ-355) მოვა;

2. ყმა, რა ნახავს ავთანდილს, ამბობს: *„ჰგავსო, თუ გ ზაა კლდიანი“* (1108,გ; გვ-355). იესო პეტრეს კლდეს უწოდებს: *„გეუბნები: შენ ხარ პეტრე და მე ამ კლდეზე ავაშენებ კრებას, რომელსაც ვერ სძლევს სამარის ჭიშკრები“* (მათე,16,18);

3. ყმას ფატმანის ბეჭედი აცვია, რომლის გამოსყიდვაც ხდება მისივე სისხლით, ავთანდილის მიერ, რაც მოგვაგონებს „შეთანხმების სისხლს“, უფლის სისხლით მიცემულ აღთქმას, პირობას სამოთხეში დაბრუნებისას;

4. ფატმანის ცოდვის მხილველი ყმა ქალს ეუბნება: *„დიაცო, არ გიშლი ფერთა მი და მო კრთომასა“* (1109,გ; გვ-355). აქ ჩანს უფლისაგან მონიჭებული არჩევანის თავისუფლება: ყმა იქვე შეახსენებს: *„მაგრა სცნობ ხვალე პასუხსა მაგა საქმისა მზღვეველად“* (1110,გ; გვ-355);

5. ყმა ჭაშნაგირია (1214, გ, გვ-373), რაც იესოსკენაა მიმართული. იესო მამას სთხოვს *„უფალო ამარიდე ეს სასმისი“*, მისი ჯვარცმა არის სასმისი, ადამიანთა ცოდვების გამოსასყიდი, რაც ჯვარცმის დროს ძმრის დაგემოვნებით გამოიხატა, ასევე სიმბოლურად;

6. ავთანდილს წინამძღოლი, გზის მასწავლებელი მიჰყავს ფატმანისგან. გზის მასწავლებელი სიმბოლურად გამოხატავს სულიერ მოძღვარს, რომელიც უფლისკენ მიმავალი გზის მასწავლებელია;

7. ყმის სრას ბანი აქვს *„ზე და ქვე მდგომელი“* (1122,გ; გვ-357), ხოლო ყმა იგი მწუხარებაში მყოფი *„ზე-ბანზე“* იმყოფება. ბიბლიაში იხსენიება ჯერ ცა და მერე დედამიწა, უფლის სამყოფელი ზე-ცაშია. *„ზე და ქვე“* სიმბოლურად ცასა და დედამიწას გამოხატავს;

8. ყმაზე ადრე კვდება ქვე ბანზე მყოფი ორი დარაჯი, რაც იესოსთან ერთად დასჯილ ორ ავაზაკს მოგვაგონებს;

9. ყმის მოკვლა იდუმლად ხდება: *„იდუმლად მოკლა, თუ ვერცა ვცანითა, ხელი მოჰკიდა, მიწასა დაასკვნა, დაკლა დანითა“* (1124, გ;დ; გვ-357). ეს ,,იდუმლად მოკვლა უნდა მიემართებოდეს ძველი აღთქმისეული ბატკნის (იესოს) შეწირვისა და დაკვლის სიმბოლიკას, რაც იესოს მოვლინებისა და ჯვარცმის შემდგომ, ასევე სიმბოლურად მეორდება ქრისტიანულ ტაძარში (მოძღვრის მიერ ზიარების მომზადების საიდუმლო, რომელიც 7 საღვთო საიდუმლოდან ერთ-ერთია);

10. ავთანდილმა ყმა იდუმლად მოკვლის შემდეგ *„ქვესკნელს მიწათა გარია, მისთვის არცაღა სამარე, არცა სათხარად ბარია“* (1125,ბ;დ; გვ-357). ეს გამოხატავს ჯვარცმული ქრისტეს ჯოჯოხეთში ჩასვლას და უფლის უსამარობას. უფლისთვის სამარე საჭირო არაა.

სისხლით გამოსყიდული ბეჭდის ეპიზოდი პარალელს პოვებს პეტრე მოციქულის (და, ზოგადად, მოციქულების) მისიასთან, ადამიანებამდე უფლისგან ხსნის, უფლის სიტყვის, შეთანხმების მიტანასთან. ხოლო ფატმანის სიტყვები; *„ნეტარძი, ვინ სისხლი მისი შემახვრიტა ერთი თასი“* (1214,დ; გვ-373) და ასევე: *„მე და უსენი შვილითურთ აწ ახლად დავიბადენით“* (1129,ა; გვ-358) პირდაპირ მიემართება ზიარებას. ზიარება სიმბოლურად ხდება ქრისტეს სისხლითა და ხორცით, რაც ახლად დაბადებას, ძველი კაცის განძარცვას და ახალი კაცის შემოსვას, ძველი საქმეებიდან გათავისუფლებას ნიშნავს.

კიდევ ერთი ასპექტი, რამაც ამავე ჭრილში შეიძლება დაგვაფიქროს, არის მეგობრების მიერ ნესტანის გამოხსნის შემდეგ კვლავ ქვაში დაბრუნება. ამ ეპიზოდში ხდება საჭურჭლეთა გახსნა. საგულისხმოა, რომ აქ ასმათია მასპინძელი, რაც რაფაელ მთავარანგელოზის თასიან გამოსახულებას ეხმიანება, ხოლო საჭურჭლეთა გახსნა ნესტანის გამოხსნის შემდეგ ხდება, რაც ასევე ამყარებს ჰიპოთეზას ნესტანისა და საჭურჭლეთა შესახებ. ეს მიმართებანი ასე ფორმულირდება: საჭურჭლე იხსნება ნესტანის გამოხსნის შემდეგ, ნესტანის გამოხსნა შესაძლებელი ხდება *„აბჯარი საკვირველის“* დაუფლების შემდეგ, აბჯრის დაუფლება ხდება ავთანდილის მიღების შემდეგ, ავთანდილის მიღება ხდება ასმათის თანხმობის და შემწეობის შემდეგ. სულიერ ცხოვრებაში ადამიანის სულიერი თვალის ახელა და საღვთო სიბრძნის მიღება ერთმანეთის გარეშე არ არსებობს, ერთი ყოველთვის წინაპირობაა მეორისა და მეორე უცილობელი თანმდევი. ავთანდილი, როგორც საუფლო სიტყვის ადამიანამდე მიმტანი, მოციქული; ასმათი, როგორც ზეციური შემწე, ნესტანი – ნათელი (თვალის ახელა), ხოლო საჭურჭლე – საღვთო სიბრძნე.

ნათია მჭედლიშვილი
თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი

ოლიმპიადა ფინიშს უახლოვდება

ნელ-ნელა დასასრულს უახლოვდება სასკოლო ოლიმპიადა, რომელსაც საქართველოს ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაცია ატარებს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და სპორტის შესაბამის სახეობათა ეროვნულ ფედერაციებთან ერთად. ზოგიერთ სახეობაში უკვე გამოვლინდნენ საქართველოს ჩემპიონები, რომლებიც ივნისში ანაკლიაში, მომავლის ბანაკში გაემგზავრებიან.

მაგალითად, დასრულდა შეჯიბრება ფრენბურთში, სადაც ფინალში ერთმანეთს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ზონალურ პირველობებში გამარჯვებულები შეხვდნენ ერთმანეთს. გოგონებში ჩემპიონი ბოლნისის გუნდი გახდა, ბიჭებში – წყალტუბოს ზონის სოფელ მაღლაკისა.

გოგონებში დასავლეთ საქართველოს წყალტუბოს მე-4 საჯარო სკოლის გუნდი წარმოადგენდა, აღმოსავლეთს – ბოლნისის №1 საჯარო სკოლა. ფინალური შეხვედრა ბოლნისელებმა ბევრად უფრო ძლიერად ჩაატარეს და ორივე პარტიაში დიდი ანგარიშით იმარჯვეს: 25:10; 25:11.

ვაჟებში ფინალურ თამაშში გამოსვლის უფლება აღმოსავლეთიდან ქალაქ გორის მე-7, ხოლო დასავლეთიდან მაღლაკის №1 სკოლამ მოიპოვეს. გოგონებისგან განსხვავებით, წყალტუბოელებმა ამ ფინალში წარმატებას მიაღწიეს, შეხვედრა 2:0 დამთავრდა მაღლაკელთა სასარგებლოდ.

აღსანიშნავია, რომ წლევანდელ სასკოლო უნივერსიადაში, ფრენბურთის ტურნირში, ქვეყნის 1200-ზე მეტი საჯარო სკოლის 6000 მოზარდი მონაწილეობდა. ოლიმპიადის უდაო მიღწევაა, რომ მონაწილეთაგან 4 მოსწავლე ქვეყნის სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში მიიწვიეს.

ასევე დამთავრდა ხელბურთელთა შეჯიბრებაც, რომელსაც სპორტკომპლექსმა „არენამ“ უმასპინძლა და გაირკვა ქვეყნის ჩემპიონებიც. დასავლეთ საქართველოს, გოგონებშიც და ვაჟებშიც, ფოთის ნიკო ნიკოლაძის სახელობის მე-2 საჯარო სკოლა წარმოადგენდა, აღმოსავლეთის ჩემპიონის რანგში კი თბილისის სკოლები წარდგნენ: ვაჟებში – 161-ე, გოგონებში – 175-ე. ფოთელთაგან დასახულ მიზანს გოგონებმა მიაღწიეს და თბილისელთა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, 12:5 მაინც იძალეს. სამაგიეროდ, თბილისელებს ვაჟებში დარჩათ გამარჯვება – 27:18, თუმცა, ამაში გასაკვირიც არაფერია იმის გათვალისწინებით, რომ 161-ე სკოლის გუნდს, ახლო წარსულში, ეროვნული ნაკრების ლიდერი და ევროპის ერთი-ერთი წარმატებული ხელბურთელი ტიტე კალანდაძე ავარჯიშებს.

სასკოლო ოლიმპიადის პროგრამაში შემავალ სხვა სახეობებში ჯერ ისევ გრძელდება შეჯიბრებები – ზოგან ჯერაც რეგიონულ ლიდერებს არკვევენ, ზოგან კი ზონალური შეჯიბრებები იმართება. მაგალითად, 28 მაისს ქუთაისის მე-7 საჯარო სკოლის დარბაზში ზონალური თამაშების დასავლეთ საქართველოს ტური გაიმართა ბადმინტონში – გოგონებშიც და ვაჟებშიც, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ლიხს იქითა რეგიონების ყველაზე წარმატებულმა 3-3-მა სკოლამ. აქ ორივე შეჯიბრებაში უძლიერესი ქუთაისის 21-ე სკოლის გუნდი აღმოჩნდა, რომელმაც მოიპოვა კიდეც საქართველოს ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ასპარეზობის უფლება.

მაგიდის ჩოგბურთში კი ჯერ თბილისის რეგიონული პირველობა დასრულდა, შეჯიბრებას დედაქალაქის 161-ე სკოლამ უმასპინძლა, სადაც მაგიდის ჩოგბურთს დიდი ტრადიცია აქვს. ვაჟებში 16, გოგონებში კი 8 სკოლა წარმოადგენდა, მათ შორის არც ერთი არ იყო კერძო სკოლა, ყველა საჯარო გახლდათ. გოგონებში 164-ე, ხოლო ვაჟებში 90-ე სკოლებმა მოიპოვეს გამარჯვება.

პარალელურად, ამბროლაურში, ქუთაისში და სხვაგან ტარდება ამავე ოლიმპიადის ფარგლებში შემავალი „მხიარული სტარტები“. სპორტის სხვა სახეობებს რაც შეეხება – ფუტზალი, მაგიდის ჩოგბურთი, კალათბურთი და მძლეოსნობა, ფინალები ივნისში გაიმართება.

ახალი პროექტი ახალგაზრდებისთვის

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ახალგაზრდული მოძრაობა „ჯანსაღი და ნათელი მომავლისთვის“ ერთობლივი ძალისხმევით თბილისსა და რეგიონებში უკვე მიმდინარეობს ახალი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი და მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისთვის 6-თვიან საფეხბურთო კურსს. მასში ჩართულია შესაბამისი კონტინგენტის მოზარდები.

„მზრუნველობამოკლებული და სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ქუთაისში, „საქართველოს კარიტასის“ და „ეს-ო-ეს ბავშვთა ფონდის“ მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში მცხოვრებ მოზარდებს საჩუქარები გადაეცათ – სპორტული ფორმები, ინვენტარი, ხოლო რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონზე საფეხბურთო მატჩი გაიმართა ამ კატეგორიის ბავშვთა მონაწილეობით, რაც მათთვის დიდი საჩუქარი გამოდგა.

„ლიდერის“ ლიდერები

ბოლო უქმეებზე ძიუდოს აკადემიამ ახალ ტურნირს უმასპინძლა – „ლიდერის თასი“, რომელიც ორ ასაკობრივ ჯგუფში, 2001-2003 და 2004-2006 წლებში დაბადებულთა შორის, ჩატარდა. ძიუდოში ტურნირები აღარ გვიკვირს, მაგრამ ეს ახალი შეჯიბრება მნიშვნელოვანია იმით, რომ საერთაშორისო მასშტაბის იყო. თბილისში საჭიდაოდ ბაქოდან ერთი, ხოლო სომხეთიდან ორი გუნდი ჩამოვიდა – ერევნისა და ვანაძორის. ოთხი მონაწილე ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქ ნალჩიკიდანაც წამოსულა, თუმცა ლარსის საბაჟოზე მხოლოდ ერთი გამოუშვიათ და ისიც – ბეტალი კაბერდოვი (66) ფინალში გავიდა.

მასპინძელთაგან შეჯიბრებაში ქვეყნის თითქმის ყველა კლუბმა მიიღო მონაწილეობა, რასაც მუნიციპალიტეტების გუნდებიც დაემატნენ. მასში ქვეყნის ყველა რეგიონი იყო წარმოდგენილი და მონაწილეთა რაოდენობაც შთამბეჭდავი გახლდათ – ორივე ასაკში 530-მდე მოზარდი გამოვიდა, რომლებმაც კარგი საწვრთნელი გაკვეთილი მიიღეს.

ამ ტურნირმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა საკლუბო სისტემის დადებითი მხარე – მისი ორგანიზება კერძო კლუბმა „ლიდერმა“ ითავა (სახელწოდებაც აქედან მოდის), რითაც დიდი საჩუქარი გაუკეთა მოზარდებს. გარდა იმისა, რომ კლუბებში გაერთიანებული მოზარდები ფინანსურ მდგომარეობას ცოტათი მაინც იუმჯობესებენ და იღებენ სატურნირო პრაქტიკას, უცხოელებთან, ანუ განსხვავებული საჭიდაო სკოლის წარმომადგენლებთან, სპარინგის, ძალების გამოცდის საშუალებაც ეძლევათ, რაც აქამდე ჩვენთან მხოლოდ ნაკრების წევრთა პრეროგატივა იყო. არადა, სხვა სტილის ფალავნებთან ძალების მოსინჯვა სპორტული დაოსტატებისთვის ჰაერივით აუცილებელია.

ბუნებრივია, მედლების უმეტესობა მასპინძლებს ერგოთ, ხოლო ოქროები მხოლოდ მათ დაისაკუთრეს. უფროს ასაკში ჩემპიონები ლუკა კვარაცხელია (38; ზუგდიდი), დავით ბახბახაშვილი (42; თელავი), გიორგი ლურსმანაშვილი (46; ქარელი), გიორგი გიორგაძე (50; თელავი), ლუკა კაპანაძე (55; მარნეული), გიორგი ნასყიდაშვილი (60; ხაშური), შამილ გიგლემიანი (66; სამგორი), გიორგი შერაზადიშვილი (73; ლიდერი), ნიკა ხარაზიშვილი (81; ქარელი) და ბაჩო ვარდიაშვილი (+81; ლიდერი) გახდნენ; უმცროსებში კი – ლუკა ჯეირანოვი (27; კაიზერი), მათე აფციაური (30; წყალტუბო), გიორგი ნოზაძე (34; ხაშური), სანდრო ბერუაშვილი (38; თბილისი), ვახტანგ პავლიაშვილი (42; შევარდენი), თამაზ კობერიძე (46; თბილისი), სანდრო ლოლაძე (50; ჯორჯია), დავით კეთილაძე (55; წყალტუბო), ნოდარ ალაფიშვილი (60; შევარდენი) და გიორგი მაისურაძე (+60; გორი).

ხოჯაშვილის ისტორიული მედალი

ნელ-ნელა საკუთარ ისტორიას ქართველი მოჭიდავე ქალებიც წერენ, ჯერჯერობით, ასაკობრივ შეჯიბრებებში, რამდენიმე წელიწადში ეროვნულ ნაკრებშიც გადავლენ. კვირას, 29 მაისს, თურქეთის ქალაქ იზმირში გამართულ მაჰმუტ ატალისა და იაშარ ერქანის საერთაშორისო მემორიალში ჭაბუკთა შორის გოგონების ტურნირში თბილისელმა თამარ ხოჯაშვილმა (52) გაიმარჯვა, რაც თავისუფალ ჭიდაობაში ქართველ ქალთა პირველი ოქროა. აღსანიშნავია, რომ პირველი ჯილდოც იზმირს და ამავე შეჯიბრებას უკავშირდება – 2013 წელს იქ გორელი გვანცა კარელიძე (38) მესამეზე გავიდა.

ხოჯაშვილი სოფელ დიღომში ვარჯიშობს მწვრთნელ ნუგზარ ტატუაშვილთან, ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი კი ევროპის ვიცე-ჩემპიონი ბესარიონ გოჩაშვილია. თურქეთში ხოჯაშვილმა თავდაპირველად ყაზახი აბენ დარიგა 2.50 წუთში წმინდად დაამარცხა. მან ნახევარფინალშიც სუფთად მოუგო კიდევ ერთ ყაზახს – ეიჟან სუიდოვას, ამჯერად საამისოდ სულ რაღაც 25 წამი დასჭირდა, ფინალში კი დაძაბულ ორთაბრძოლაში 10:9 აჯობა მასპინძელ ედი ტეკინის. თამარ ხოჯაშვილი და მისი თანაგუნდელები ევროპისა და მსოფლიოს პირველობებისთვის ემზადებიან. სასიხარულოა, რომ ეს არაა ხოჯაშვილის პირველი მიღწევა ამ მოკლე მონაკვეთში – აპრილში რუმინეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირში ის მეორე იყო, ხოლო გულიკო არუთინიანი (43) – მესამე. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს სექტემბერში საქართველო უმასპინძლებს.

იზმირში ჩვენგან ბიჭებიც ჭიდაობდნენ ორივე სტილში, მათ ჯამში 14 მედალი მოიპოვეს. განსაკუთრებული წარმატებით ბერძენ-რომაელები გამოვიდნენ, რომლებმაც 9 მედალი და გუნდური მეორე ადგილი დაისაკუთრეს: 3 ოქრო, 2 ვერცხლი და 4 ბრინჯაო. მათგან ჩემპიონები ირაკლი ძიმისტარაშვილი (54), ლერი აბულაძე (58) და გიორგი ქაცანაშვილი (85) გახდნენ. ფინალში ლევან გოგუა (69) და ზაზა სილაგაძე (100) დამარცხდნენ, ხოლო მესამე ადგილზე გოდერძი შოთაძე (54), ოთარ აბულაძე (58), ბექა ბეშიძე (63) და ბექა გურული (69) გავიდნენ.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ანგარიშზე გუნდური მესამე ადგილი და პირად პირველობაში მოპოვებული 5 ჯილდოა: თითო ოქრო-ვერცხლი და 3 ბრინჯაო. ჩემპიონი გიორგი გეგელაშვილი (42) გახდა, ხოლო ანალოგიურ წარმატებამდე ერთი მოგება დააკლდა მიხეილ ბოჭორიძეს (76). ამავე წონაში მესამეზე გავიდა გიორგი ბრეგვაძე. მასთან ერთად ბრინჯაოს მედლები რამაზ თურმანიძემ (54) და ლაშა ბაირამაშვილმა (85) მოიპოვეს.

რუბრიკა მოამზადა ირაკლი თავაძემ

მიმდინარეობს ხელმოწერა

შეავსეთ სკოლის ბიბლიოთეკა

ქართველი მწერლების ნაწარმოებებით

ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული)
I-VI ტომი – 11 ლარი
მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული)
I-VII ტომი – 12 ლარი
ედიშერ ყიფშიანი (2-ტომეული)
I-II ტომი – 15 ლარი
კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული)
I, VI, VII, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი,
II, IV-V ტომი –18 ლარი
რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული)
I-VI ტომი – 14 ლარი
ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული)
I-VII ტომი –12 ლარი
გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული)
I-V ტომი – 12 ლარი
ოტია იოსელიანი (10-ტომეული)
I, III, IV, V, VI, IX, X ტომი – 12 ლარი
თამაზ ჭილაძე (6-ტომეული)
I-VI ტომი – 10 ლარი
გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული)
I-V ტომი – 14 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

10 ლარი

თითოეული კრებულის ფასი – 12 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია

რა არის რა

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

ავტომობილი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ახსნილი და აუხსნელი
ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
უძველესი ადამიანები
მათემატიკა
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი



მთავაზობთ 10 ტომს ენციკლოპედიების სერიიდან „რა არის რა“ სპეციალურ ფასად.

თითო ტომს, 12 ლარის ნაცვლად, 9 ლარად მიიღებს.

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

მწერალთა პორტრეტები
(34X47 სმ)

1. **მიხეილ ჯავახიშვილი**
2. **გიორგი ლეონიძე**
3. **ირაკლი აბაშიძე**
4. **ნოდარ დუმბაძე**
5. **აკაკი წერეთელი**
6. **კონსტანტინე გამსახურდია**
7. **პაოლო იაშვილი**
8. **სულხან-საბა ორბელიანი**
9. **პოლიკარპე კაკაბაძე**
10. **გურამ რჩეულიშვილი**
11. **დავით გურამიშვილი**
12. **ბესიკი**
13. **რევაზ ინანიშვილი**
14. **თეიმურაზ I**
15. **ვახტანგ VI**
16. **გიორგი მერჩულე**
17. **გრიგოლ ორბელიანი**
18. **დავით ალმაშენებელი**

4 ლარი

რეპროდუქციები

1. **ჰორაციუსთა ფიცი,** ჟაკ-ლუი დავიდი
2. **მწყემსთა თაყვანისცემა,** დომენიკო გირლანდაიო
3. **ადელ გლოს-ბაუერის პორტრეტი,** გუსტავ კლიმტი
4. **მენინები,** დიეგო ველასკესი
5. **დელფოსელი სიბილა,** მიქელანჯელო
6. **მხატვრის ბაღი,** კლოდ მონე
7. **უკლები შვილის დაბრუნება,** რემბრანდტი
8. **საძანელა,** ოგიუსტ რენუარი
9. **საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე,** ჟორჟ სიორა

6.5 ლარი

მსოფლიო კლასიკოსები

მკვდარი სახლის ჩანაწერები, თეოდორე დოსტოევსკი
ცოლთა სკოლა, ანდრე ჟიდი
გზა ელიტისკენ, ჯონ გრეინი
რჩეული მოთხრობები, ნიკოლოზ გოგოლი
ტალღებზე მორბენალი, ალექსანდრე გრინი
ტკბობა, გაბრიელე დანუნციო
დედაჩემი, ალბერ კამუ
კავკასია, ალექსანდრე დიუმა
დონ კიხოტის დაბრუნება, გილბერტ კით ჩესტერტონი
დროის ინსტიტუტი, აჰმედ ჰამდი ტანტინარი
ეფი ბრისტი, თეოდორ ფონტანე
ილელი ვენერა, პროსპერ მერიმე
კავკასიური მოთხრობები, ლევ ტოლსტოი
კვარტერონი, მაინ რიდი
ლორდ ჯიმი, ჯოზეფ კონრადი
მადამ ბოვარი, გუსტავ ფლობერი
სპარსული წერილები, შარლ ლუი დე მონტესკიე
მუუთმენლობა გულისა, შტეფან ცვაიგი
მოწყენილობა, ალბერტო მორავია
ორი რომანი, მიგელ დელიბესი
პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, ვიქტორ ჰიუგო
მოთხრობები, ალექსანდრე პუშკინი
რჩეული მოთხრობები, ჯონ გოლზუორთი
სატანის ელექსირები, ერნსტ ჰოფმანი
საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან, მარგერიტ დიურასი
ძალთა ბედნიერება, ემილ ზოლა
ღამეული გართობა, რაფაელ საბატინი
წითელი და შავი, სტენდალი
ძრელი საბურველი, სომერსეტ მოემი
ჯაშუში, ჯეიმზ კუპერი
ლიხტენშტაინი, ვილჰელმ ჰაუფი
ჰუსარი სახურავზე, ჟან ჟიონო

თითოეულის ფასი – 15 ლარი

თემატური პლაკატები

დაწყებითი კლასებისთვის

(42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. ჰიგიენის ნივთები
9. საოჯახო ნივთები
10. ტრანსპორტი
11. ზღვის ბინადრები
12. ტანსაცმელი
13. ხილი
14. ბოსტნეული
15. ჩემი სხეული
16. ფორმები
17. რიცხვები
18. რის შვილს რა ჰქვია
19. მწერები
20. ამინდი
21. მცენარეები
22. საპირისპირო ცნებები
23. ქალაქში
24. სოფელში
25. სპორტის სახეობები
26. ზღაპრის გმირები
27. ჩემი საქართველო
28. ქართული ანბანი
29. ინგლისური ანბანი
30. რომელი საათია

ფასი – 2.90 ლარი

მაღალი კლასებისთვის

(59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ზღვის დინებები
11. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
13. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ფასი – 4 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

„დახატე შენი სკოლა“

კონკურსის გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ, 2015 წლის ნოემბერში, გამოცხადდა კონკურსი სახელწოდებით – „დახატე შენი სკოლა“, მონაწილეობდნენ საჯარო სკოლების VI-XII კლასების მოსწავლეები.

კონკურსს სამი გამარჯვებული ჰყავს:

ანი კუჭუაშვილი, საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე – სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ გამოვლენილი გამარჯვებული;

ნინო კილასონია, თბილისის №64 საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე – facebook-ის მოწონებებით გამოვლენილი გამარჯვებული;

ინგა სიხარულიძე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღლების საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე – „ესაბის“ მიერ გამოვლენილი გამარჯვებული.

გამარჯვებულებს კომპანია „ესაბის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, **აკაკი ციმაკურიძემ** და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორმა, **გიორგი შალუტაშვილმა** პლანშეტური კომპიუტერები გადასცეს. დაჯილდოების ცერემონია კომპიუტერული კომპანია „ესაბის“ სათაო ოფისში გაიმართა.

გიორგი შალუტაშვილი: *„საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ გამოაცხადა კონკურსი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, სახელწოდებით – „დახატე შენი სკოლა“. ამ კონკურსის ფარგლებში ძალიან ბევრი საინტერესო ნამუშევარი შემოვიდა, შეირჩა სამი გამარჯვებული. დღეს მათი დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა.*

აღნიშნული კონკურსი ვერ ჩატარდებოდა, რომ არა კომპანია „ესაბის“ თანადგომა, მათ საჩუქრებით უზრუნველყვეს ჩვენი გამარჯვებულები“.

აკაკი ციმაკურიძე: *„კომპანია „ესაბიმ“ დიდი სიხარულით მიიღო მონაწილეობა კონკურსის ჩატარებაში. ვფიქრობ, მომავალშიც, ასეთი დონის, ასეთი წარმატებული ბავშვების დაჯილდოება პრიორიტეტი იქნება არა მარტო ჩვენთვის, არამედ ყველასათვის. ვულოცავ გამარჯვებულებს და ვუსურვებ, ეს გამარჯვება მომავალი წარმატებების საწინდარი იყოს“.*

ნინო კილასონია: *„დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კომპანია „ესაბის“, ასეთი შესანიშნავი პრიზებით რომ დაგვაჯილდოვა. ჩემს ნახატში ძალიან დიდი შრომა ჩავდე და, რა თქმა უნდა, გამიხარდა, რომ გავიმარჯვე. დანარჩენ ორ გამარჯვებულსაც მივულოცავ ამ წარმატებას“.*

ამერიკული საბავშვო მიუზიკლი ჭიათურის თეატრის სცენაზე

ფრენკ ბაუმის საბავშვო ზღაპრის „ოზის ჯადოქარი“ მიხედვით შექმნილი მიუზიკლი ჭიათურის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა დადგეს. ინგლისურენოვანი მიუზიკლი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იდგმებოდა ბროდვეიზე, ქართველმა მოსწავლეებმა მშვიდობის კორპუსის მოხალისის დახმარებით მოამზადეს. სპექტაკლის პრემიერას ესწრებოდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური, ამერიკის საელჩოსა და მშვიდობის კორპუსის წარმომადგენლები, სხვა საპატიო სტუმრები.

პროექტის განხორციელებაში ჩართული იყვნენ: ჭიათურის №1 საჯარო სკოლის თითქმის ყველა საფეხურის მოსწავლე, ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მუსიკის პედაგოგი და ქორეოგრაფი. სკოლას დიდი დახმარება გაუწია ჭიათურის სახელმწიფო თეატრმა.

ლია გიგაური: *„ეს სპექტაკლი ჭიათურის სკოლის მასწავლებლების, მშვიდობის კორპუსის მოხალისის და თეატრის ერთობლივი მუშაობის საუკეთესო შედეგია. არ შემიძლია, არ აღვნიშნო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დრამა პედაგოგიკის ელემენტების გამოყენებას ინგლისური ენის სწავლების პროცესში. ძალიან საინტერესო იყო მუსიკალური ელემენტებისა და ქორეოგრაფიის შერწყმა. ჩვენ ვხედავთ როგორი ნიჭიერი, მრავალმხრივი მონაცემებით, კომპეტენციებით დაჯილდოებული ბავშვები გვყავს და მათთან მუშაობას რა საუკეთესო შედეგების მოტანა შეუძლია. მართლაც შესანიშნავი პროდუქტი მივიღეთ – საინტერესო სპექტაკლი. მაყურებელი და ყველა მნახველი, კიდევ ერთხელ, დარწმუნდება, რომ ჩვენს ბავშვებს შეუძლიათ, ერთდროულად, ინგლისურ ენაზე ისაუბრონ უშეცდომოდ, იმღერონ, იცეკვონ და, რაც მთავარია, წარმოაჩინონ ის ემოციები, რაც თითოეულ გმირს ახასიათებს. მინდა მივულოცო ყველას ეს დიდი გამარჯვება, იმედი მაქვს, ყველა სკოლა გადაიღებს ამ პრაქტიკას და ისინიც შეძლებენ საუკეთესო სპექტაკლების მომზადებას.“*

ასმათ სიხარულიძე, განათლების პროგრამის მენეჯერი, მშვიდობის კორპუსი საქართველოში: *„ჩვენმა მოხალისე ფრანცისკომ და ინგლისურის მასწავლებელმა, ასევე სკოლის სხვა თანამშრომლებმა, თითქმის ერთი წელი, იმუშავეს ამ სპექტაკლის დადგმაზე. პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული მუსიკისა და ცეკვის მასწავლებლები, ასევე მოსწავლეები. ძალიან სანახაობითი და საინტერესო სპექტაკლი გამოვიდა.“*

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >